# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 18 ოქტომბერი 2005 №239 (2562) ფასი 50 თეთრი




მალე;
ზესტაფონის აიაქსი
წარმოგიდგენთ,
ანუ როგორ
ვაკეთოთ ფული
ინტერვიუ ილია
კოკაიასთან

2



კასანო
იანვარში
წავა

5



კრივი და
კათოლიკური
ცივილიზაცია
მკვლელობის
ლეგალიზებული
ფორმა

15

# დიდკაცები და თუნეიჯერი
## თუნი შვეიცარიელი გულია




სანაკრებო ვნებები დროებით ჩაცხრა და ევროპას დიდი ფეხბურთი ჩემპიონთა ლიგით უბრუნდება.

დღეს დიადთა მატჩია — „ბაიერნი“ „იუვენტუსს“ მასპინძლობს და ეგებ პირველი კლუბი გახდეს, ვინც ამ სეზონში „იუვეს“ დამარცხებას შეძლებს. თუმც ისიცაა, რომ ამათგან ვინც გინდა მოიგოს, როგორ დავიჯეროთ, რომელიმემ ჯგუფიდან ვერ გააღწიოს.

„ვფიქრობ, სულ ცოტა, ქულა უნდა ავილოთ“ — თუ გამოიცნობთ, ვისი სიტყვებია. ვისი და, „თუნის“ მწვრთნელის, რომელიც ამსტერდამში გამარჯვებით იმუქრება და ვეჭვობთ, სამშობლოში ვინმე დასცინოდეს, პატარა გუნდმა დიდს, აბა, როგორ უნდა მოუგოსო.

საბერძნეთში თამაში კი ნებისმიერ გუნდს უჭირს, გარემოა რაღაცნაირი... გაუჭირდება „ბარსელონასაც“. კატალონიელები „პანათინაიკოსს“ სტუმრობენ და გზად ეგებ იმაზეც იფიქრონ, როგორ მოახერხეს შაბათს „დეპორტივოსთან“ ორბურთიანი უპირატესობის გაფლანგვა.

მოკლედ, დღეს რვა სალიგო მატჩია.

# მეთხუთმეტე გამოღვიძება

დღეს ვერის ბაღის დარბაზში კალათბურთელთა მე-15 ეროვნული ჩემპიონატი იწყება. მიუხედავად იმისა, რომ ვიცით, დონიან და თვალისმომჭრელ სანახაობას ვერ ვიხილავთ, მაინც იმედითა და ინტერესით ვხვდებით ვერის ბაღში კალათბურთის გამოღვიძებას.

მე-12 გვერდი



# მალე ზესტაფონის აიაქსი წარმოგიდგენთ ანუ, როგორ ვაკეთოთ ფული

**სურვილი მაქვს, „ზესტაფონში" ამსტერდამის „აიაქსის" საფეხბურთო სკოლისმაგვარი ავამოქმედო და ქართული ფეხბურთი ტალანტებით მოვამარაგო — ეს იყო თავიდან, რაც ზესტაფონში სტუმრობისას კლუბის პრეზიდენტმა ილია კოკაიამ გვითხრა და დაწყებული საქმის პირველი შედეგისკენ მიგვითითა — შეხედეთ მოედანს! შევხედეთ და მაშინვე ვთქვით, საქართველოში ასეთი ხარისხის მოედანი მეორე არ არის. მერე საუბარში აგრონომი ჩაგვერთო და თავისი კომპეტენტური სიტყვაც შეგვაწია, დაგვაჯერა, რომ ამ გაზონს, ტრაქტორით თუ არ გადაუარე, სხვანაირად არაფერი დააკლდება, უმაღლესი ხარისხისააო. მოკლედ, „ზესტაფონის" სტადიონზე მოედანი დაიგო, გადაუჭარბებლად გეტყვით, მაღალი ევროპული დონის. დღეს-ხვალ იქვე, სტადიონის გვერდით სტანდარტული ზომის იდეალური ხელოვნურსაფარიანი მოედანიც მოეწყობა. აგერ, ახლა კი „ზესტაფონმა" ოფიციალური ვებ-გვერდიც გააკეთა და დაინტერესებულთ ამომწურავ ინფორმაციას აწვდის.**

**ეს ყველაფერი, ზოგადად, ქართული ფეხბურთისთვის კეთდება და დაუნახავი თუ იტყვის, ზესტაფონში კარგი საქმე არ კეთდებაო...**



ბადრი კოთოლაშვილის ფოტო

— მოგწონათ?

საქმის შედეგით ნასიამოვნებმა მკითხა ილია კოკაიამ.

**— მშვენიერია. აქ გამოყვანილი ბალახია?**

— არა, თურქეთიდან ჩამოვიტანეთ, უმაღლესი ხარისხია. ამას წინათ დანიაში ვიყავი და დავრწმუნდი, რომ ეს მოედანი იქაურებს არაფრით ჩამოუვარდება, მეტიც, ეს გაზონი უფრო რბილია და საერთო შეფასებით, მასზე თამაში სასიამოვნოა.

**— ეს უკვე საბოლოო სახეა?**

— რას გულისხმობთ, მეტი რა უნდა გავაკეთოთ?

**— გაზონის განაპირას ხრეშია მოყრილი და...**

— ეგ პრობლემა არაა, სპეციალური ხალიჩა გზაშია, დღეს-ხვალ ჩამოვა და ხრეშზე გადაიგება.

**— მთლიანად სტადიონის გაკეთებას როდისთვის გეგმავთ?**

— სახელმწიფომ ამ სტადიონის პრივატიზაციის უფლება თუ მოგვცა, ხელს არც ამას დავაკლებთ და ევროპულ დონეზე გავაკეთებთ. პროექტი მზადაა, მაგრამ... რომ გავაკეთოთ, ეს სტადიონი და მერე სახელმწიფომ ჩამოგვართვას, რა გამოვა? პრივატიზაციასაც ამიტომ ველით. ვიცი, რომ ფეხბურთის ფედერაცია პარლამენტს შესაბამისი კანონპროექტის განხილვას სთხოვს და თუ ეს კანონი პარლამენტმა მიიღო, მაშინ არა მარტო ზესტაფონის, სხვა სტადიონებიც გაკეთდება. საერთოდ, სტადიონი მომგებიანი არსადაა, მაგრამ შესაძლებელია, რომ არც წამგებიანი იყოს. აგერ, მაგალითად, ჩვენს სტადიონზე ხალხი მანქანებით შემოდიოდა, კარს უკან აჩერებდნენ და თამაშს იქიდან უცქერდნენ. კი ბატონო, ასე თუ გსურს, შემოდი მანქანით, მაგრამ კეთილი ინებე და ამისათვის ფული გადაიხადე. რაც შეეხება სახელმწიფოს დამოკიდებულებას ფეხბურთისადმი, დახმარება მხოლოდ ფინანსური არ უნდა იყოს, ურთიერთხელსაყრელი კანონები თუ შემუშავდება, ძალიან კარგი იქნება. ერთ მაგალითსაც გეტყვით: ახლა, „ზესტაფონი" — „ტორპედოს" მატჩამდე პირველი არხიდან დამიკავშირდნენ და მითხრეს, თუ გინდათ, ფული გადაგვიხადეთ და ამ თამაშს პირდაპირ ეთერში გადავცემთო. მერე იგივე გააკეთა ადგილობრივმა ტელევიზიამაც. იქით გადამიხადონ ფული და უჩვენონ მატჩი. თუ არ უჩვენებენ, არც ესაა პრობლემა. მთელი საფეხბურთო სამყარო სატელევიზიო უფლებების გაყიდვით ცხოვრობს და ამათ რა სურთ, ფული მე გადავუხადო?! ასე არასდროს გავაკეთებ. ამას წინათ სპეციალისტთა ჯგუფი დავიქირავე, ისინი შეისწავლიან ქართულ საფეხბურთო მეურნეობას და მეტყვიან, რა, როდის და როგორ ვაკეთო.

**— ანუ?**

— სწორი მენეჯმენტის გარეშე არაფერი გამოგვივა. დასამალი რაა, მსურს, რომ ფეხბურთიდან ფული მივიღო...

ეს პასუხი იყო და, მომდევნო კითხვაც თავისთავად გაჩნდა. კითხვა, რომელზეც ქომაგის პასუხი ერთია, მაგრამ ილია კოკაია სხვას ამბობს.

**— ალბათ, თქვენც ხშირად გსმენიათ, ხალხი ამბობს, რომ ილია კოკაია და ფეხბურთის ფედერაციის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ახალგაზრდა ფეხბურთელებს ეროვნულ გუნდში იმიტომ აწინაურებენ, რათა მერე უცხოეთში გაყიდონ და ამით ფული გააკეთონო...**

— ამის მეტი რა მესმის.

**— მერე, რას იტყვით?**

— „ტორპედოს" მეკარის ნუკრი რევიშვილის თამაში დღეს მოგეწონათ?

**— ძალიან.**

— უნდა გენახათ, ამ ბიჭმა ესტონეთში 19-წლამდელთა ტურნირზე როგორ ითამაშა. არავის საწყენად არ ვამბობ, მაგრამ პერსპექტივაში ასეთი მეკარე ქართულ ფეხბურთს ჯერ არ ჰყოლია. ის 17 წლისაა და უკვე ქვეყანა აალაპარაკა. ჰოდა, რევიშვილის უცხოეთში გაყიდვას ახლა ვინც მოინდომებს, სასტიკად უნდა დაისაჯოს. მისთვის ჯერ ადრეა — სადმე თუ წავა, წავა მეორე მეკარედ და ამით ფეხბურთსაც დაამთავრებს. იცით, უბედურება რაშია? ხალხს არ სჯერა, რომ ფედერაცია და იგივე „ზესტაფონიც" სუფთად მუშაობენ და ყველა თავის საქმეს აკეთებს. სადღეისოდ, მაგალითად, მოსკოვის ცესკა, „ლოკომოტივი" და ფრანგული „ბორდო" ეპატიჟებიან ჩვენს ფეხბურთელებს, მაგრამ არავინ გაგვიშვია და ამას არც ვაპირებთ, მით უმეტეს, თუ მათ სკამზე დასვამენ. თუმც კი, მაღალი დონის კლუბი რომელიმე ფეხბურთელს თუ მიიწვევს, ჩვენ უძლურნი ვიქნებით, ის ბიჭი დავაკავოთ. ფეხბურთელი თუ წასვლას მოისურვებს, რაგინდ პირობები გაუუმჯობესო მას, ვერ შეაჩერებ.

**— რაკი ფედერაცია-„ზესტაფონზე" ჩამოვარდა სიტყვა, მოდით, ერთსაც გკითხავთ — სპონსორულ ურთიერთობებზე. „ფერო" ფედერაციის სპონსორი არის თუ არა?**

— არ არის, ჩვენ ფედერაციასთან შევწყვიტეთ ყველანაირი ურთიერთობა. „ფერო" მარტო კოკაია არ არის, სხვა აქციონერები კი გაუთავებელი ლანძღვით აღშფოთებულნი არიან და ამიტომაც გადავწყვიტეთ, ფედერაციასთან კონტრაქტი შეგვეწყვიტა. ფედერაციამ სპონსორის შენარჩუნება უნდა იცოდეს.

**— „ფეროს" ლანძღავდნენო, თქვით. ლანძღვა, მგონი, არ ყოფილა, მაგრამ რას იტყვით ფაქტზე — შეიძლება, რომ ფედერაციასა და კლუბს ერთი სპონსორი ჰყავდეთ. ეჭვი თავისთავად ჩნდება, რომ ფედერაცია „ზესტაფონის" წინაშე ვალდებულია...**

— ფედერაციასთან კონტრაქტს „ფერომ" ჯერ კიდევ მერაბ ჟორდანიას პრეზიდენტობისას მოაწერა ხელი და ვიდრე სპონსორობა გაფორმდებოდა, ეს ფიფა-უეფაში სამჯერ ვიკითხეთ.

**— უარყოფთ, რომ ფედერაციას „ზესტაფონთან" სხვა კლუბებზე ტკბილი ურთიერთობა აქვს?**

— „ზესტაფონი" აკეთებს თავის საქმეს, ფედერაცია — თავისას. ახლა ფედერაციას ვთხოვთ, რომ ის სამი უცხოელი მწვრთნელი, რომლებიც საქართველოში სამუშაოდ ჩამოდიან, ნაკრების პარალელურად „ზესტაფონშიც" დაკავდნენ. კლუბი ამ სპეციალისტებს ფულს გადაუხდის და ჩვენთან იმუშავონ. ეს ცუდი საქმეა?! ის უცხოელები საკლუბო საქმეს თუ არ წაადგებიან, ყოველ შემთხვევაში, არ წაახდენენ.

**— სხვათა შორის და, „ზესტაფონის" მწვრთნელი თემურ მახარაძე ცუდი შედეგისთვის გაათავისუფლეთ?**

— თემურ მახარაძე არ გაგვითავისუფლებია, მან თავად გვთხოვა დასვენება. „ზესტაფონის" თავკაცი ერთი თვე კობა ჟორჟიკაშვილი იქნება, მერე კი თემურ მახარაძესაც შევეხმიანებით. ის ისეთი სპეციალისტია, უსაქმოდ არ უნდა დარჩეს.

**— „ზესტაფონში" გია გეგუჩაძეს იწვევენო, მართალია?**

— არ არის მართალი.

**კობა ინასარიძე**

## ინგლისი

პრემიერლიგა. IX ტური

ჩარლტონი 1:1 ფულემი

## იტალია

სერია B. X ტური

კატანძარო 1:0 კროტონე

## საბერძნეთი

ნაციონალლიგა. VI ტური

ქსანთი 4:1 ირაკლისი

## შვედეთი

ალსვენსკა. XXV ტური

ელფსბორგი 2:0 ჰელსინგბორგი

ჰამარბი 3:2 გიოტებორგი

ლანდსკრონა 1:0 სუნდსვალი

იორგრიტე 0:0 იურგორდენი

## ნორვეგია

ტიპელიგა. XXIV ტური

ლილესტრიომი 2:0 ბოდიო გლიმტი

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა IX ტური

დინამო დრ 1:3 ალემანია

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი XII ტური

ბრესტი 2:1 გინგამი

## პორტუგალია

სუპერლიგა. VII ტური

ბოავიშტა 2:0 ჟილ ვისენტე

## ჩეხეთი

I ლიგა. IX ტური

ლიბერეცი 2:0 ბანიკი

## ირლანდია

პრემიერლიგა XXVIII ტური

დუბლინი 2:3 უოტერფორდი

# გუბერნია გავალებთ: გაისტუმრეთ ვალები!

**საქართველოს** ჩემპიონატი ისეთი რამაა, გუნდის სიძლიერეზე ლაპარაკს სანამ დაიწყებ, ჯერ მისი ფინანსური მდგომარეობა უნდა იკითხო. აი, გორის „დილას" შემადგენლობა წინა სეზონს აქეთ თითქმის არ შეცვლილა, მაგრამ ქართლელებს სულ მცირე თანხა გაუჩნდათ და შარშანდელივით აღარ მაჩანჩალობენ — ოთხი თამაში მოიგეს.

ახლა კი „დილას" ისევ გაუჭირდა. გუნდის მწვრთნელმა ვლადიმერ ხაჩიძემ თქვა, გასვლით მატჩებზე წასასვლელად ფულს ძლივს ვშოულობთო. ახლაც, თელავში „კახეთთან" ჩასვლა-არჩასვლა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა და საბოლოოდ, გორელები თამაშამდე 40 წუთით ადრე ჩავიდნენ თელავში.

გუშინ „დილას" პრეზიდენტ არჩილ ბეგიაშვილს დავუკავშირდით, რომელმაც გვითხრა, ოთხშაბათისთვის მდგომარეობა გამოსწორებული იქნებაო: „დღეს შიდა ქართლის გუბერნატორ მიხეილ ქარელის მოადგილეს ზვიად ხმალაძეს შევხვდი. ამის შემდეგ გუბერნიამ ჩვენს სპონსორ „კასპიცემენტის" გარდა, სხვადასხვა საწარმოებსაც დაავალა კლუბის დახმარება. ოთხშაბათს ისინი გუნდის ვარჯიშზე მოვლენ და მაშინ უკეთ მეცოდინება ყველაფერი".

როგორც შევიტყვეთ, მწვრთნელ-ფეხბურთელებს ორი თვის ხელფასი და პლუს „ბათუმთან" და „სოხუმთან" მოგებების პრემიალურები აქვთ ასაღები.

საქართველოს პირველი 17 ჩემპიონატი წრე

**გადადებული მატჩი**

**გურია 2:4 ჩიხურა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 9 | 7 | 1 | 1 | 31:11 | 22 |
| ამერი 2 | 10 | 7 | 1 | 2 | 18:7 | 22 |
| დინამო 2 | 10 | 6 | 2 | 2 | 19:6 | 20 |
| მეშაქრე | 10 | 6 | 2 | 2 | 14:7 | 20 |
| მერანი | 10 | 5 | 3 | 2 | 12:6 | 18 |
| გურია | 10 | 5 | 2 | 3 | 21:14 | 17 |
| რუსთავი | 10 | 5 | 2 | 3 | 17:14 | 17 |
| მეშახტე | 10 | 4 | 3 | 3 | 11:7 | 15 |
| მესხეთი | 9 | 4 | 3 | 2 | 12:12 | 15 |
| ზუგდიდი | 10 | 4 | 3 | 3 | 5:6 | 15 |
| გაგრა | 9 | 3 | 4 | 2 | 11:8 | 13 |
| ლოკომოტივი 2 | 10 | 4 | 1 | 5 | 10:15 | 13 |
| საგარეჯო | 10 | 3 | 2 | 5 | 7:11 | 11 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 9 | 2 | 2 | 5 | 7:10 | 8 |
| თბილისი 2 | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | 8 |
| ლიახვი | 10 | 2 | 0 | 8 | 10:25 | 6 |
| მაღაროელი | 10 | 1 | 1 | 8 | 7:29 | 4 |
| ზესტაფონი 2 | 8 | 0 | 0 | 8 | 7:22 | 0 |

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე

9 ტური მიმოხილვა

# ლიდერთმსხვრევა

შოთა კაშია, გიორგი ნერგაძე, შოთა ბაბუნაშვილი, დავით ოდიკაძე, გიორგი ნავალოვსკი — რა აქვთ ამ ფეხბურთელებს საერთო? ის, რომ ხუთივე თბილისის „დინამოს“ კარგა ხნით ვერ დაეხმარება და ვინძლო ეს „კარგა ხანი“ მთელ სეზონზე გაიწელოს. კრიზისშია თუ დაფრინავს, „დინამო“ ყოველთვის საინტერესო თემაა.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ჩემპიონები ახლა საევროპო დონეზე დგანან, მაგრამ ერთ რამეში ნაღდად არ ვცდებით — კახა ცხადაძის ხელში „დინამომ“ საუკეთესო მატჩი გუშინწინ ჩაატარა ბოლნისის „სიონთან“. სხვა თუ არაფერი, ლიდერის 3:0 დაბრიყვება ყველაფერზე ლაპარაკობს.

თანამედროვე ფეხბურთში სამი თავდამსხმელის სასტარტოში დაყენება იშვიათობაა, მით უმეტეს, როცა ამ სამიდან ერთსაც ვერ „დააბრალებ“ სიღრმიდან თამაშის სიყვარულს — ბობოხიძეც, იაშვილიც და მეგრელაძეც სუფთა ფორვარდები არიან, მათგან ორმა გოლიც გაიტანა და მთლიანობაშიც ორივემ (იაშვილმა და მეგრელაძემ) მშვენივრად ითამაშა. წელან ის ხუთი ფეხბურთელი რომ ვახსენეთ, „დინამოს“ მათ გარეშეც უძლიერესი შემადგენლობა ჰყავს საქართველოში. საკითხავი ისაა, „სიონთან“ ბენეფისი ჩემპიონთა უცარი გამონათება იყო თუ „დინამომ“ საბოლოოდ იპოვა თავისი თამაში?

და რა მოუვიდა „სიონს“, დავიჯეროთ, შემთხვევით ლიდერობდა? არა გვგონია, მაგრამ ისიცაა, ბოლნისელებს განვლილ 9 ტურში თითქმის უცვლელი თერთმეტეული ჰყავდათ ანუ „გრძელი სკამის“ პრობლემა აწუხებთ და, მაგალითად, ჯაბა დვალსა და კოკა მიკუჩაძეს თუ თამაში არ წაუვიდათ, ვინაა მათი შემცვლელი...

სხვა რა მოგვიტანა განვლილმა ტურმა? ის, რომ ვორჭოფობთ, „დინამო“ იყო ტურის გუნდი თუ „ვიტ ჯორჯია“, რომელმაც 4:0 გაანადგურა მიჯრით შვიდთამაშმოგებული „ბორჯომი“? ერთი ცხადია, ვიტელებს ასეთი მძლავრი გუნდი მაშინ თუ ჰყავდათ, სანამ პოლონურ „ვისლასთან“ 2:8-ს წააგებდნენ. მას შემდეგ „მწვანეები“ საშუალო დონეს ვერ სცდებოდნენ, ახლა კი ნესტორ მუმლაძემ მართლაც საჩემპიონოდ დაქოქილი მონოლითი შექმნა — ერთთვიან მონაკვეთში „დინამოს“, „ამერისა“ და „ბორჯომის“ დამაჯერებლად ძლევას სხვანაირად როგორ დავარქვათ? პარადოქსი ისაა, რომ რატომღაც „ვიტ ჯორჯიას“ არც ერთი ფეხბურთელი არ თამაშობს ახალგაზრდულ ნაკრებში...

ამ თემის გაგრძელება: ახალგაზრდული კარს არც ლოკომოტიველები ატალახებენ, არადა, ისინი ამ ხუმრობა-ხუმრობაში ლიდერებად იქცნენ. ორი სასტარტო ფრის შემდეგ ნოდარ აკობიას გუნდმა ზედიზედ შვიდი თამაში მოიგო, თანაც ოდენ ერთი გოლი გაუშვა. „ლოკომოტივის“ სახასიათო შტრიხი პრაგმატულობაა, თუმცა „თბილისთან“ გიორგი და რონ ონიანების პირველ ოც წუთში გატანილი გოლების შემდეგაც აგრძელებდნენ შეტევებს. ვაკელებს დროულად გამოუჯანმრთელდათ ირაკლი სირბილაძე, რომლის არყოფნაში გუნდს ცენტრფორვარდის პრობლემა ლაქასავით ეტყობოდა. ეგაა, ზამთარში დავით სირაძე ისევ გერმანიაში აპირებს დაბრუნებას და „ლოკომოტივი“ ძლიერი ნახევარმცველის შესაძენად უნდა დაფაცურდეს.

„ზესტაფონის“ შესაძლო ჩემპიონობაზე სეზონის წინ კი ლაპარაკობდნენ, თუმცა ფეროელები ამას საქმით ველარ ამტკიცებენ. კობა ჟორჟიკაშვილის ზესტაფონურ დებიუტს უიღბლო უნდა დაერქვას, რადგან არა გვგონია, ამბიციურ გუნდს „ტორპედოსთან“ საშინაო ქულა გეგმაში ჰქონოდა. და ისევ ზურაბ იონანიძე! რაც ეს კაცი „ზესტაფონში“ გადავიდა, თავის ყოფილ კლუბს ყველა თამაშში გაუტანა, ახლაც მისი პენალტით გადაურჩნენ ფეროელები ქუთათურებთან მარცხს. თვალნათლივ ჩანს, ასაკი და გამოცდილება ძალიან მაგრად ჭრის ჩვენს ჩემპიონატში — „იონა“ (ვალკე და „ტორპედოდანაც“ ვეტერანმა დავით ჯანაშიამ გაიტანა გოლი. და იცით, რომ ეს პირველი ფრე იყო ბოლო ხუთ ტურში?

გიორგი ჩიხრაძის „ამერი“ საშუალო და დაბალი კლასის გუნდებთან ქულებს არ კარგავს. ამერელებმა „კოლხეთს“ მოუგეს დავით სვანტოპულოს გვიანი გოლით და ეს მოხდა ფოთში, სადაც სტუმარი გუნდი ძალიან „არ უყვართ“ — „კოლხეთს“ აქამდე ოთხი საშინაო მატჩიდან ოთხივე მოეგო, მაგრამ რა, ვერ გაიტანა მათმა ერთადერთმა მეგოლე ზვიად ქუთათელაძემ და...

გორის „დილა“ კახურ ენდშპილს შეეწირა — ქართლელებმა ბოლო ოც წუთში სამი უპასუხო გოლი მიიღეს და თელაველები ცხრილში დაიმეზობლეს.

„კოლხეთისა“ არ იყოს, ტრადიცია დაარღვია „ცხინვალმა“, ოღონდ სასიკეთო კუთხით. სამაჩაბლოელებმა პირველი საშინაო გოლები და ქულები მიითვალეს. მეტოქეც საკბილო ჰყავდათ ცხინვალელებს — ძალიან სუსტია „სპარტაკი“, ისევე როგორც „თბილისი“, რომელიც კვლავაც ქულის ძიებაშია და ზამთრიდან აპირებს გამოცდილი მოთამაშეების დამატებას.

**ილია ნანობაშვილი**



მურაზ ფოლადაშვილის ფოტო

ჩემპიონატის ლიდერის ბოლნისის „სიონის“ განადგურებაში სანდრო იაშვილმა (შუაში) დიდი წილი დაიდო




**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 6-ქორიძე | ბორჯომი |
| 5-დვალი | სიონი |
| ქუთათელაძე | კოლხეთი |
| მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| 4-მიქუჩაძე | სიონი |
| სულთანიშვილი | დილა |
| ბ. ხანიშვილი | დილა |
| დოლიძე | სიონი |
| მეგრელაძე | დინამო |
| იაშვილი | დინამო |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 9 | 7 | 2 | 0 | 15:2 | 23 |
| სიონი | 9 | 7 | 1 | 1 | 15:7 | 22 |
| ბორჯომი | 9 | 7 | 0 | 2 | 18:8 | 21 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 6 | 1 | 1 | 16:5 | 19 |
| დინამო | 9 | 5 | 1 | 3 | 13:6 | 16 |
| ამერი | 9 | 5 | 1 | 3 | 8:7 | 16 |
| ზესტაფონი | 8 | 4 | 1 | 3 | 6:5 | 13 |
| ბათუმი | 9 | 4 | 1 | 4 | 6:6 | 13 |
| დილა | 9 | 4 | 0 | 5 | 12:10 | 12 |
| კახეთი | 9 | 4 | 0 | 5 | 9:13 | 12 |
| კოლხეთი | 9 | 4 | 0 | 5 | 5:9 | 12 |
| ცხინვალი | 9 | 3 | 0 | 6 | 6:12 | 9 |
| ტორპედო | 9 | 2 | 2 | 5 | 6:9 | 8 |
| სოხუმი | 9 | 2 | 1 | 6 | 9:20 | 7 |
| სპარტაკი | 9 | 1 | 1 | 7 | 1:10 | 4 |
| თბილისი | 9 | 0 | 0 | 9 | 2:17 | 0 |

| სტადიონი | მატჩი | მინდვრის მდგომარეობა | ორგანიზაცია | დასწრება | საშუალო ბალი |
|---|---|---|---|---|---|
| „ცენტრალური“ ზესტაფონი | ზესტაფონი 1:1 ტორპედო | 10,0 | 8,0 | 9,5 | 9,1 |
| „ეროვნული“ თბილისი | დინამო 3:0 სიონი | 9,0 | 8,5 | 6,5 | 8,0 |
| „გივი ჩოხელი“ თელავი | კახეთი 3:0 დილა | 7,5 | 6,5 | 7,5 | 7,1 |
| „ოლიმპი“ თბილისი | თბილისი 0:2 ლოკომოტივი | 9,0 | 7,0 | 4,5 | 6,8 |
| „შევარდენი“ თბილისი | სოხუმი 2:1 ბათუმი | 7,0 | 6,5 | 5,5 | 6,3 |
| „არმაზი“ მცხეთა | ვიტ ჯორჯია 4:0 ბორჯომი | 7,0 | 7,0 | 4,5 | 6,1 |
| „ფაზისი“ ფოთი | კოლხეთი 0:1 ამერი | 6,5 | 6,5 | 4,5 | 5,8 |
| „ქართლი“ გორი | ცხინვალი 2:0 სპარტაკი | 6,0 | 5,0 | 1,0 | 4,0 |

**მომდევნო ტური**

22 ოქტომბერი, შაბათი

ამერი – ბორჯომი
დილა – თბილისი
ბათუმი – კახეთი
კოლხეთი – სოხუმი

23 ოქტომბერი, კვირა

სიონი – ცხინვალი
ტორპედო – დინამო
სპარტაკი – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – ზესტაფონი

# საკუთარ თავზე არ ვლაპარაკობ

## სიტუაცია მარცვალაძემაც დაგვიმარცვლა



*თბილისის „ვიტ ჯორჯია“ ბრძოლის ეშხში შევიდა — არცთუ შთამბეჭდავად დაწყებულ სეზონს წარმატებული მატჩები მიაყოლა და მისი 21 წლის ფორვარდი ოთარ მარცვალაძეც ღონივრად ათამაშდა...*

„სეზონს რომ ვიწყებდით, ახალი მთავარი მწვრთნელი ნესტორ მუმლაძე ერთი თვის მოსული იყო და მის ხელში გუნდის ჩამოყალიბებას დრო სჭირდებოდა. ამიტომაცაა, რომ ახლა უწინდელზე უკეთ ვთამაშობთ — გვითხრა მარცვალაძემ და იქვე დაამატა — მუმლაძეს ფეხბურთელებთან მეგობრული დამოკიდებულება აქვს, მას დიდად განსაკუთრებული არაფერი შემოუტანია „ვიტ ჯორჯიაში“, მაგრამ ახლა უფრო შეკრული გუნდი ვართ“.

„ვიტ ჯორჯიამ“ ბოლო ექვსი თამაში მოიგო მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში, აქედან სამი ძალიან ვიტამინიზებული — შინ „დინამოსთან“ 1:0, სტუმრად „ამერთან“ 2:1 და შინ „ბორჯომთან“ 4:0.

ფეხმარდი გარემარბი მარცვალაძე ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში 2003-2004 წლების სეზონში გამოჩნდა როგორც ერთ-ერთი საინტერესო ახალგაზრდა, თუმც მას შემდეგ მისი კარიერა აღმა-დაღმა წარიმართა — ოთარი ხან კარგად თამაშობდა, ხან კი ჩრდილში ექცეოდა.

„ჩავარდნები ყველა ფეხბურთელს აქვს, ჩემი არასტაბილურობა კი ყველაზე უფრო ჩემი პირადი პრობლემების ბრალი იყო“ — განგვიმარტა მარცვალაძემ.

ოთარს ახალგაზრდულ ნაკრებში უნდა მოეკიდა ფეხი, მაგრამ ხან რა უშლიდა ხელს და ხან რა. ის არც ახალგაზრდული ნაკრების ახლანდელ მწვრთნელ კობა ჟორჟიკაშვილს მიუწვევია.

„წინსვლისთვის ნაკრებში თამაში აუცილებელია, მაგრამ ისიც აუცილებელია, რომ ნაკრებში ის ფეხბურთელები აიყვანო, რომლებიც კონკრეტულ მომენტში სხვებზე უკეთესად თამაშობენ. ვინც კლუბში ვერ თამაშობს, ის ნაკრებში არ უნდა თამაშობდეს. ყველამ ვიცით, საქართველოს ჩემპიონატი რა დონისაა და როცა ფეხბურთელი აქ ვერ თამაშობს რიგიანად, ასეთს ნაკრებში მაინც იწვევენ. ყოველივე ეს კარგად აისახა კიდეც ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების შედეგზე“ — ასეთნაირად განმარტავს სიტუაციას მარცვალაძე, რაც მხოლოდ მისი აზრი როდია...

ოთარი „ვიტ ჯორჯიაში“ 2001 წელს ჩაირიცხა, კლუბში, რომელსაც თავისი მკაცრი პოლიტიკა აქვს და რომელიც კარგი ფეხბურთელების სამჭედლოცაა. „ვიტ ჯორჯიადან“ წავიდნენ თბილისის „დინამოში“ ლევან მელქაძე, ალეკო გოგობერიშვილი და ლაშა ნოზაძე — ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში გამორჩეული ფეხბურთელები.

„კლუბთან კონტრაქტით კიდევ წელიწადნახევარი მაკავშირებს. რაც შეეხება ჩემ „დინამოში“ შესაძლო გადასვლას, თუ ამაზე კლუბები შეთანხმდებიან... ვნახოთ, ჯერ ასეთ გეგმებს არ ვაწყობ“ — გვითხრა მარცვალაძემ, ვისი წინსვლისთვის კლუბის გამოცვლა ალბათ აუცილებელიცაა.

„ვიტ ჯორჯიას“ საკუთარი ბაზა არ გააჩნია, რის გამოც ორჯერადი ვარჯიშების გამართვა ამ გუნდისთვის ძალიან ძნელია. მიუხედავად ამისა, შარშან „ვიტ ჯორჯია“ საქართველოს ჩემპიონი გახდა. მარცვალაძესაც მიაჩნია, რომ პირობებით „დინამოს“ „ვიტ ჯორჯიაზე“ უპირატესობა აქვს, მაგრამ ეს არც თუ დიდი უპირატესობაა.

„გინდა თუ არა, ჩემპიონობა — ასეთი მიზანი ჩვენთვის არ დაუსახავთ, მაგრამ ჩემპიონობაზე უარს ნამდვილად არ ვიტყვით. ორჯერადი ვარჯიშებისთვის მთავარია ბაზა და ჩვენ და „დინამო“ ამ მხრივაც არ ვართ ერთ დონეზე, თუმც შესაძლოა, საკუთარი ბაზა მალე „ვიტ ჯორჯიასაც“ ჰქონდეს“ — გვითხრა მარცვალაძემ.

და რა არის თავდამსხმელ მარცვალაძის მთავარი კოზირი?

„საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს“ — მოკლედ მოგვიჭრა ოთარმა.

**დავით თაგართქილაძე**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | კალიარი 2:0 | 0 | სათადარიგო | 4 | 0 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ბაიერნი 1:1 | 90 | | 9 | 0 | 4 |
| ლევან ცქიტიშვილი | ვოლფსბურგი | ს | ჰამბურგი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 7 | 0 | 6 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ზაარბრიუკენი 3:1 | 90 | საგოლე პასი | 9 | 1 | 3 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | ზაარბრიუკენი 3:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 3 |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | ზტ. პაული | ს | კილი 1:4 | 90 | გააფრთხილეს | 11 | 1 | 6 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | ბაიროითი | შ | ბაიერნი (მ) 4:0 | 90 | 2 გოლი | 9 | 7 | 7 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | ს | ლივერპული 0:1 | 33 | გააძევეს | 5 | 0 | 11 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | ს | პსვ 0:3 | 90 | | 8 | 10 | 3 |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | ვალვაიკი 2:0 | 0 | | 5 | 0 | 9 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | პაშინგი 2:0 | 70 | შეცვალეს | 12 | 5 | 4 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | შინიკი 0:0 | 90 | | 25 | 1 | 2 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | შ | შინიკი 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| რომან ახალკაცი | ლოკომოტივი | შ | შინიკი 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| მათე ღვინიანიძე | ლოკომოტივი | შ | შინიკი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 2 |
| მიხეილ აშვეთია | როსტოვი | ს | ტერეკი 3:2 | 5 | შეცვლაზე ითამაშა | 11 | 1 | 14 |
| გოჩა ხოჯავა | როსტოვი | ს | ტერეკი 3:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 1 | 0 | 14 |
| ბექა ჟღენტი | ტორპედო | შ | სატურნი 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| ანზორ კალაძე | ტორპედო | შ | სატურნი 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | შ | დინამო 2:4 | 45 | შეცვალეს | 18 | 1 | 15 |
| ლევან გვაზავა | ალანია | შ | დინამო 2:4 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 6 | 0 | 15 |
| ლადო ბურდული | ალანია | შ | დინამო 2:4 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 13 | 0 | 15 |
| დავით კვირკველია | ალანია | შ | დინამო 2:4 | 0 | სათადარიგო | 13 | 0 | 15 |
| ჯაბა კანკავა | ალანია | შ | დინამო 2:4 | 0 | სათადარიგო | 10 | 0 | 15 |
| გიორგი შაშიაშვილი | ალანია | შ | დინამო 2:4 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 7 | 0 | 15 |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | შ | დინამო 2:4 | 45 | შეცვალეს | 9 | 2 | 15 |
| გიორგი ქინქლაძე | რუბინი | ს | ცსკა 1:2 | 90 | საგოლე პასი | 6 | 2 | 5 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | ცსკა 1:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 20 | 0 | 5 |
| ზურაბ არზიანი | რუბინი | ს | ცსკა 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ლომაია | ხიმკი | ს | ორიოლი 2:2 | 0 | | 12 | 0 | 5 |
| გოგიტა გოგუა | ხიმკი | ს | ორიოლი 2:2 | 0 | | 6 | 0 | 5 |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | ს | ავანგარდი 2:0 | 0 | | 16 | 0 | 3 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | | ტური გამოტოვა | | | 30 | 1 | 9 |
| მამუკა ლომიძე | ჩკალოვეცი | ს | მეტალურგი 4:1 | 0 | | 11 | 0 | 11 |
| ლევან ბერიშვილი | მ. კუზბასი | ს | ფაკელი 0:1 | 11 | შეცვლაზე ითამაშა | 31 | 5 | 18 |
| პაატა ჯინჭარაძე | ბრიანსკი | შ | ჩელიაბინსკი 1:1 | 90 | | 33 | 2 | 16 |
| დავით ხმელიძე | ჩელიაბინსკი | ს | ბრიანსკი 1:1 | 0 | | 9 | 0 | 10 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | ილიჩევეცი 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 15 |
| არჩილ ბაჯელიძე | მ. ზაპოროჟიე | ს | ილიჩევეცი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 15 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | შ | სტალი 1:0 | 85 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 12 | 6 | 6 |
| გიორგი ციმაკურიძე | სტალი | ს | მეტალისტი 0:1 | 81 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 12 | 1 | 13 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | ს | ჩერნომორეცი 1:2 | 70 | შეცვალეს | 11 | 3 | 11 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | შ | კრივბასი 2:1 | 90 | | 5 | 0 | 3 |
| ირაკლი ქორთუა | დინამო | შ | ხარკოვი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | კალითეა | ს | პანიონიოსი 0:1 | 63 | შეცვალეს | 5 | 0 | 16 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | აეკ 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 4 | 2 | 4 |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ანართოსისი | ს | აეკ 1:1 | 90 | | 3 | 1 | 4 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | ს | აეკ 1:1 | 0 | | 1 | 0 | 4 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | ოლიმპი 3:0 | 0 | | 14 | 0 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | ოლიმპი 3:0 | 90 | | 18 | 2 | 2 |
| ზაალ ელიავა | სკონტო | შ | ოლიმპი 3:0 | 70 | შეცვალეს | 21 | 0 | 2 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | შ | ოლიმპი 3:0 | 31 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 8 | 2 | 2 |
| ლევან მიქაძე | მეტალურგსი | ს | დინაბურგი 2:2 | 45 | შეცვალეს | 23 | 2 | 1 |
| ალეკო რეხვიაშვილი | ვენტსპილსი | ს | იურმალა 1:0 | 90 | 1 გოლი | 19 | 3 | 3 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი გოგიაშვილი | ვოსტოკი | ს | ირტიში 2:3 | 0 | განაცხადში არ იყო | 20 | 5 | 13 |
| ზურაბ არჩვაძე | ეკიბასტუზეცი | ს | ჟენისი 0:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 16 | 0 | 12 |
| დავით ჭიჭველიშვილი | ატირაუ | ს | შახტიორი 1:2 | 90 | | 9 | 0 | 9 |
| ლევან სანიკიძე | ტობოლი | შ | აქტობე 3:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 1 | 0 | 2 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# მოწამვლა



„მარსელმა“ ლორიკ კანას გოლით წარუმატებელი სერია შეწყვიტა

**მიჯრით** ცხრა მატჩი ვერ მოიგო „მარსელს“ პსჟ-სთვის და ნაცვლის „ველოდრომზე“ გატყდა. სამხრეთელებმა ლორიკ კანას გოლით იმარჯვეს, რომელმაც ნაკუთხურალი ბურთი კარში თავად შეაბრძანა. მასპინძლებმა დისკვალიფიცირებული ფაბიენ ბარტეზის დაბრუნება გამარჯვებით აღნიშნეს.

მატჩამდე მომხდარი ამბავი კი მთელი საფრანგეთის სალპარაკო გახდა. გასახდელში შესულმა პსჟ-ს მწვრთნელმა ლორან ფურნიემ ამიკის სუნი იგრძნო და ოთახის გამოცვლა ითხოვა. ფურნიეს აზრით, მასპინძლები სტუმართა მოწამვლას ცდილობდნენ, რასაც „მარსელის“ პრეზიდენტმა პაპე დიუფმა აბსურდი უწოდა. ოთახში ექიმები შეუშვეს და პარიზელები თითქმის ერთი საათი ელოდნენ, სანამ იქუარობას შეამოწმებდნენ.

პედრო პაულეტას გარეშე მოთამაშე პსჟ-ს შეტევაში ფხა აკლდა, თუმც დაცვაში კარგად იდგა და საგოლე მომენტები აქეთ-იქით ცოტა შეიქმნა.

სანამ პარიზელები მარსელში დამარცხდებოდნენ, „ლიონმა“ „აიაჩოს“ მოუგო და მდევარ პსჟ-ს შვიდი ქულით დაუსხლტა. ბრაზილიელმა ყმაწვილფორვარდმა ფრედიმ ანგარიში გახსნა, ხოლო დიავარამ ოთხ წუთში პენალტით გაათანაბრა.

მეორე ტაიმის დასაწყისში იგივე განმეორდა. ჟუნინიომ „ლიონი“ კვლავ დააწინაურა, მაგრამ ტიაგომ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი და გაათანაბრა. სილვენ ვილტორდმა მოგვიანებით მაინც შეძლო მასპინძელთა გამარჯვების გოლის გატანა, „აიაჩოს“ მწვრთნელმა როლან კურბისმა კი მსაჯები მიკერძოებაში დაადანაშაულა. კურბისი უკვე მეოთხე მწვრთნელია, რომელმაც ამ თემაზე ისაუბრა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## საფრანგეთი

**I დივიზიონი. IX ტური**

**ნანსი 2:0 ტულუზი**

1:0 დიახატე (25), 2:0 კრუპი (50პ)

**მონაკო 3:0 მეცი**

1:0 გილიოტი (61), 2:0 ზიკოსი (64), 3:0 მერიემი (72)

**ოსერი 3:0 ტრუა**

1:0 ლაშუერი (25), 2:0 ლუინდულა (79), 3:0 მვარუვარი (83)

**სტრასბური 0:1 რენი**

0:1 ბრიანი (30)

**ლანსი 2:2 ნიცა**

0:1 რუდე (29), 1:1 დიარა (46), 2:1 ტომერტი (57), 2:2 კამარა (84)

**ლემანი 1:1 ლილი**

1:0 ტომასი (83), 1:1 მუსილუ (9)

**ბორდო 1:1 სოშო**

0:1 მენესი (29), 1:1 ალონსო (90)

**ნანტი 1:1 სენტ ეტიენი**

0:1 კეშური (3), 1:1 სავინაუდი (10ს.კ.)

**ლიონი 3:2 აიაჩო**

1:0 ფრედი (29), 1:1 დიავარა (34პ), 2:1 ჟუნინიო (49), 2:2 ედსონი (53), 3:2 ვილტორდი (68)

**მარსელი 1:0 პსჟ**

1:0 კანა (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 11 | 8 | 3 | 0 | 18:8 | 27 |
| პსჟ | 11 | 6 | 2 | 3 | 14:9 | 20 |
| ბორდო | 11 | 5 | 5 | 1 | 11:6 | 20 |
| ოსერი | 11 | 6 | 1 | 4 | 14:15 | 19 |
| სტ. ეტიენი | 11 | 4 | 5 | 2 | 11:6 | 17 |
| მონაკო | 11 | 5 | 2 | 4 | 10:9 | 17 |
| მარსელი | 11 | 5 | 2 | 4 | 12:12 | 17 |
| ნანსი | 11 | 5 | 1 | 5 | 16:8 | 16 |
| ლილი | 11 | 4 | 4 | 3 | 15:9 | 16 |
| ლე მანი | 11 | 4 | 4 | 3 | 11:8 | 16 |
| ლანსი | 10 | 3 | 6 | 1 | 16:8 | 15 |
| ტულუზი | 11 | 4 | 2 | 5 | 9:13 | 14 |
| რენი | 11 | 4 | 2 | 5 | 12:22 | 14 |
| ნიცა | 11 | 3 | 4 | 4 | 10:13 | 13 |
| ნანტი | 11 | 3 | 3 | 5 | 9:9 | 12 |
| აიაჩო | 10 | 2 | 5 | 3 | 9:10 | 11 |
| ტრუა | 11 | 2 | 4 | 5 | 9:14 | 10 |
| სოშო | 11 | 2 | 3 | 6 | 5:12 | 9 |
| სტრასბური | 11 | 0 | 6 | 5 | 5:11 | 6 |
| მეცი | 11 | 0 | 4 | 7 | 4:18 | 4 |



# დემელი ამხილეს

**„ჰამბურგის“** მცველ გი დემელს დისკვალიფიკაცია ემუქრება. გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა გასული ტურის „ჰამბურგი“ — „ვოლფსბურგის“ მატჩში მომხდარი ამბავი ვიდეოფირზე გაარჩია გარჩევისას აღმოჩნდა, რომ დემელი სტუმარ მაიკ ფრანცს ხელიხელ შეება.

შეგახსენებთ — მატჩის შემდეგ, რომელშიც „მგლებმა“ მოიგეს, ჰამბურგელებმა ჩხუბი ატეხეს. რაფაელ ვან დერ ვაარტმა ვოლფსბურგელთა თავკაც ჰოლგერ ფახს ხელი ჰკრა, ფრანცი კი მწვრთნელს გამოექომაგა. ვან დერ ვაარტი და ფრანცი მსაჯმა გააძევა, დანარჩენები კი ითლად გადარჩნენ. მაგრამ საქმე ამით არ დასრულებულა. სადისციპლინო კომიტეტმა გი დემელი ამხილა და სავარაუდოდ რამდენიმე მატჩს გამოატოვებინებენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ნედვედის დაბრუნება

**ტურინის** „იუვენტუსის“ ლეგიონერი პაველ ნედვედი ეგებ ნაკრებს საპლეიოფოდ მართლაც დაუბრუნდეს. ჩეხმა ფეხბურთელმა ევრო 2004-ის შემდეგ უგანა ეროვნულ გუნდს და აშკარაა, რომ მის გარეშე ნაკრებს ძალა და ხიბლი მოაკლდა. „ნედვედი მზადაა სათამაშოდ“ — განაცხადა ნაკრების მენეჯერმა ვლასტიმილ კოსტალმა ტელეინტერვიუში.



მედიის ცნობით, ფეხბურთელი მწვრთნელს ესაუბრა, მაგრამ ბრიუკნერს ამის თაობაზე ჯერ არაფერი უთქვამს. თვითონ პაველ ნედვედმა კი აღნიშნა: „ნაღდად მსურს, რომ გუნდს დავეხმარო. ცხადია, მხოლოდ ორ მატჩში, მაგრამ ამითაც ძალიან ბედნიერი ვიქნები“.

ორი წლის წინ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულ ნედვედს ჩეხეთის მაისურით 83 მატჩში 17 გოლი გაუტანია. ჩეხეთი პლეი ოფში ნორვეგიას დაუპირისპირდება. პირველი შეხვედრა ოსლოში 12 ნოემბერს გაიმართება, საპასუხო კი პრაღაში 16 ნოემბერს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კუნძული სვერისონს

**ისლანდიის** 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი ეიოლფურ სვერისონი დააწინაურეს და ეროვნული გუნდი ჩააბარეს. მან ასგეირ სიგურვინსონი შეცვალა და ქვეყნის საფეხბურთო კავშირთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„ეს ბიზნესის მსგავსია — თქვა კავშირის პრეზიდენტმა ეგერტ მაგნუსონმა — თუ კაცი თავის ჯამაგირს კარგი შედეგებით ვერ გაამართლებს, უნდა შეცვალო. ეიოლფურ სვერისონი მაღალი კლასის ფეხბურთელი იყო, იცის, რა სურს და როგორ აკეთოს საქმე“.

37 წლის სვერისონს ისლანდიის ნაკრების მაისური მოურგია, აქედან 19-ჯერ კაპიტნის სამკლავურით და ათი გოლი გაუტანია.

იგი არასოდეს ყოფილა რომელიმე ისლანდიური გუნდის მოთამაშე. 21-წლამდელთა ნაკრებიდან 1989 წელს პირდაპირ ბუნდესლიგის „შტუტგარტში“ გადაბარგდა. შემდეგ „ბეშიქთაშში“ გადავიდა, საიდანაც ბერლინის „ჰერტას“ მიაშურა და 2003-ში კარიერა დაასრულა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კასანო იანვარში წავა

„**რომას**“ დირექტორ დანიელე პრადეს თქმით, ანტონიო კასანოს იანვარში გაყიდვა გარდაუვალია:

„ჩვენ კარგი წინადადება შევთავაზეთ კასანოს, მაგრამ მან უარი გვითხრა. ჯერ-ჯერობით შესაფერის ვარიანტს ვეძებთ, მანამდე კი მისი საკითხი ღიად რჩება“.

ანტონიოს კლუბთან კონტრაქტის ვადა მიმდინარე სეზონის ბოლოს ეწურება. ასე რომ, „რომამ“ მისი გაყიდვა იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას უნდა მოასწროს, რომ რამენაირად ამოიღოს ოცმილიონიანი ინვესტიცია, რაც ახალგაზრდა ფეხბურთელს დაახარჯა.

ყველაზე მეტი შანსი კასანოს თავის გუნდში ხილვისა, „იუვენტუსის“ თავკაცს ფაბიო კაპელოს აქვს. მისი შეძენით ასევე „რეალი“, „მილანი“ და „ჩელსი“ არიან სერიოზულად დაინტერესებულნი.



თავად „რომას“ კი საქმეები ცუდად მისდის, შიდ თამაშში მხოლოდ რვა ქულა დააგროვა.

„დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა სავალალოა. ფეხბურთელებს მეტი პასუხისმგებლობა და თავდადება მართებთ. „ემპოლისთან“ საზიზღრად ვითამაშეთ“ — ამბობს როსელა სენსი.

იგივე აზრზეა ლუჩანო სპალეტი. უკანასკნელი თამაშის შემდეგ „რომა“ მეთოთხმეტე პოზიციაზე ჩამოქვეითდა: „ვაღიარებ, რომ საშინლად ვითამაშეთ. შედეგი სრულად ასახავს ვითარებას. პასუხისმგებლობას არ გავურბივარ, მაგრამ მარტო მე ვერაფერს გავხდები. თუ ფეხბურთელებს თამაშის ელემენტარული სურვილი არ აქვთ, ვერანაირი მწვრთნელი ვერ უშველის“.

**ზურაბ გოცირიძე**

# ბერბატოვს ინგლისში გადასვლა ეიმედება



**დიმიტარ ბერბატოვის** აგენტმა დაადასტურა ცნობა იმის შესახებ, რომ მისი კლიენტი ინგლისში გადასვლით არის დაინტერესებული. ბულგარელის შეძენა „არსენალს“, „ლივერპულსა“ და „მანჩესტერს“ სურთ.

თავად „ლევერკუზენიც“ არ არის ფორვარდის გაყიდვის წინააღმდეგი, შესაფერის ანაზღაურებას თუ მიიღებს.

ფეხბურთელის აგენტ ემილ დანჩევის თქმით, დიმიტარით დაინტერესება ინგლისის წამყვანმა გუნდებმა გამოთქვეს, ყველაზე მეტად კი „ლივერპული“ აქტიურობს.

„ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ რადგან დიმიტარი ლევერკუზენის „ბაიერის“ წამყვანი ფეხბურთელია, მისი ინგლისში ტრანსფერი არ უნდა გაჭიანურდეს. რაც მეხება მე, ყველაფერს მოვაგვარებ. „ბაიერი“ თანახმაა, ჩემი კლიენტი შესაბამის თანხად გაუშვას. ახლა მთავარია, წამყვანი ინგლისური გუნდების წინადადებები სწორად შევაფასოთ და საუკეთესო არჩევანი გავაკეთოთ“ — აღნიშნა ბულგარელის აგენტმა.

**ზურაბ გოცირიძე**

## აშშ

**მეიჯორლიგა. XXXII ტური**

ნიუ ინგლენდი — ჩიკაგო 1:0; ვაშინგტონი — კოლუმბუსი 2:2; დალასი — კანზასი 2:2; ლოს ანჯელესი — სან ხოსე 1:3; ჩივასი — ნიუ იორკი 0:2

## ბრაზილია

**სერია A. XXXIII ტური**

ფლუმინენსე — ბოტაფოგო 3:2; ფორტალეზა — პაისანდუ 1:2; ბრაზილენსე — ჟუვენტუდე 1:0; ფიგეირენსე — პარანა 2:0; კურიტიბა — ატლეტიკო პრ 1:2; პალმეირასი — კორინთიანსი 1:1; ატლეტიკო მნ — კრუზეირო 0:1; ფლამენგო — სან პაულო 1:6; ინტერნასიონალი — ვასკო 3:1; სანტოსი — გოიასი 1:1; პონტე პრეტა — სან კაეტანო 1:2

## მექსიკა

**აპერტურა. XII ტური**

ატლანტე — ტეკოსი 0:1; ხაგუარესი — ამერიკა 4:3; ჩივასი — მონტერეი 2:3; დორადოსი — მორელია 2:1; ტიგრესი — ატლასი 1:2; ნეკაქსა — კრუს ასული 3:1; პუმასი — ტოლუკა 0:3; სან ლუისი — ვერაკრუსი 1:0; სანტოსი — პაჩუკა 0:0

## იაპონია

**ჯეილიგა**

**XXVII ტური**

სერეზო — ომია 1:0; ნიიგატა — ტოკიო ვერდი 1:1; ტოკიო — ჰიროშიმა 2:2; ურავა — კაშივა 7:0; ოიტა — შიმიცუ 5:0; ნაგოია — კავასაკი 1:4; კობე — ოსაკა 1:4; იჩიჰარა — იოკოჰამა 2:2; ჯუბილო — კაშიმა 1:1

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი III ტური. დღეს

## A ჯგუფი

### ბაიერნი — იუვენტუსი

მიუნხენი. „ალიანსარენა". მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

კანი, სანიოლი, ლუსიო, ისმაელი, ლიზარაზუ, დაისლერი, დემიკელისი, ბალაკი, შვაინშტაიგერი, მაკაი, სანტა კრუზი.

აბიატი, პესოტო, ტიურამი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ვიეირა (ან ჯანიკედა), ნედვედი, ტრეზეგე (ან დელ პიერო), იბრაჰიმოვიჩი

### რაპიდი — ბრიუგე

ვენა. „ერნსტ ჰაპელი". მსაჯი: სტიუარტ დუგალი (შოტლანდია)

პეიერი, დობერი, ვალახოვიჩი, ბეიბლი, ადამსკი, კორსოში, ჰოფმანი, შიტცი, ფლინკა, კინსლი, აკაგუენდესი

ბუტინა, მარტენსი, ვანდელანოიტი, დუფერი, დე კოკი, ვერმანტი, ენგლებერტი, ბლონდელი, ვერჰეიენი, ლეკო, ბალაბანი

## B ჯგუფი

### სპარტა — არსენალი

პრაღა. „ლეტნა". მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

ბლაჟეკი, კეტრასი, ჰოსპეჩი, კადლესი, კისელი, ჰაშეკი, ჟელენკა, სივოკი, ჰოლაჩეკი, სლეპიჩკა, პეტრუსი

ლემანი, ტურე, ლორენი, კლიჩი, ფაბრეგასი, ფლამინი, სიგანი, პირესი, რეიესი, სენდეროსი, აბეი

### აიაქსი — თუნი

ამსტერდამი. „ამსტერდამარენა". მსაჯი: რობერტო როსეტი (იტალია)

სტეკელენბურგი, ტრაბელსი, გრიგერა, მადურო, ემანუელსონი, გალაშეკი, სნეიდერი, ლინდენბერგი, როსალესი, როზენბერგი, ბაბელი

იაკუპოვიჩი, გონსალვეში, დეუმი, მილიჩევიჩი, ორმანი, აეგერტერი, ფერეირა, ადრიანო, გელსონი, ლეანდრო, ლუსტრინელი

# ბაიერნი და იუვენტუსი ერთმანეთში გაარკვევენ

**ხვალ** ჩემპიონთა ლიგის **A** ჯგუფში გადამწყვეტი ჯახის დღეა. „ბაიერნმა" და „იუვენტუსმა" ერთმანეთში უნდა გაარკვიონ ურთიერთობა. აბა, პარტნიორებთან უკვე დაჩაგრული ჰყავთ.

ტურინელების ბრწყინვალე სტარტის შესახებ უკვე ბევრი თქმულა და ბევრიც დაწერილა: შვიდიდან შვიდი სერია **A**-ში და ლიგაზეც ორიდან ორი გამარჯვება.

რაც შეეხება „ბაიერნს", ლიგაზე მასაც ორიდან ორი მატჩი აქვს მოგებული, გერმანიაში კი უკანასკნელ ტურში ფეხი დაუცდა და ლიდერობა „ვერდერს" გადაულოცა. ამის ძირითადი მიზეზი როი მაკაისა და მიხაელ ბალაკის ავადმყოფობა იყო. ახლა ორივე მწყობრშია და გერმანელების მთავარ იმედსაც წარმოადგენს „იუვენტუსთან" ხვალინდელ დაპირისპირებაში. „შალკესთან" ვერც ერთმა ვერ აჩვენა ჩვეული თამაში, მაგრამ, ფელიქს მაგათის თქმით, ყველაფერი ძალიან მალე მოგვარდება. ცოტაც და გუნდის ლიდერები ჩვეულად ითამაშებენო.

როი მაკაიმ გერმანიის ჩემპიონატის სასტარტო სამ ტურში ექვსი გოლი შეაგდო, მას შემდეგ კი ამის გაკეთება ერთხელაც ვერ მოახერხა.

რაც შეეხება სხვა ფეხბურთელებს, ძირითადს სავარაუდოდ ბიქსენტ ლიზარაზუ და ვილი სანიოლი დაუბრუნდებიან. ზე რობერტოსა და დაისლერის თამაში კი საეჭვოა, რადგან მათ საკვირაო ვარჯიში გამოტოვეს.

ახლა კი „იუვენტუსის" ამბები: ერთადერთი დანაკლისი „ბიანკონერის" შემადგენლობაში პატრიკ ვიეირაა, რომელსაც საფრანგეთი-კვიპროსის მატჩისას (4:0) მიღებული ტრავმა აწუხებს. მის სავარაუდო შემცვლელად ჯულიანო ჯანიკედა განიხილება, რომელიც ემერსონის გვერდით დაიკავებს ადგილს. ალექს დელ პიეროს მიერ უკანასკნელ შეხვედრაში ნაჩვენებმა თამაშმა შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ კაპელო მას ძირითადში მიუჩენს ადგილს.

სწორედ დელ პიეროს გოლის წყალობით დაამარცხა „იუვემ" „მესინა" გასულ უქმეებზე. გოლი კი მართლაც საუცხოო გამოვიდა.

„გოლი არაჩვეულებრივი იყო. ის დიდებული ფეხბურთელია, ისევე როგორც სხვა ჩვენი თავდამსხმელები, რთული არჩევანის წინაშე ვდგავარ" — თქვა კაპელომ.

„ბოლო დროს ჩემი თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ. იმედია, ამ მატჩშიც იგივენაირად ვიბურთავებ. „ბაიერნი" ძალიან ძლიერი და მებრძოლი კლუბია, ამიტომ გაგვიჭირდება. ისეთივე დაძაბულ შეხვედრას ველი, როგორც შარშან" — აღნიშნა დელ პიერომ.

შეგახსენებთ, რომ ამ კლუბების პირველი ოფიციალური ჯახი წინა სეზონში, ასევე ჯგუფურ ეტაპზე გაიმართა და ორივე მატჩი „იუვენტუსმა" მოიგო — ტურინში ნედვედის, ხოლო მიუნხენში დელ პიეროს კინკილა გოლებით.

ჯგუფის მეორე მატჩზე კი სათქმელი ბევრი არაფერია. „ბრიუგე" და „რაპიდი" მესამე ადგილისთვის იბრძოლებენ, თუნდაც იმიტომ, რომ უეფს თასზე განაგრძონ ასპარეზობა.

**ზურაბ გოცირიძე**



ზლატან იბრაჰიმოვიჩის „იუვენტუსი" ამჯერად „ბაიერნთან" იჯაჯგურებს



„სპარტასთან" „არსენალის" მთავარი იმედი ხოსე ანტონიო რეიესი (№9) იქნება

# ანრის დაბრუნება

## სიმბოლოები ახალი, კალათბურთი ძველი

**დღეს** ვერის ბაღის დარბაზში მეთხუთმეტედ აჟღერდება საქართველოს ეროვნული ჰიმნი და აიწევა სახელმწიფო დროშა. ეს ეროვნული სიმბოლოები ახალია, მაგრამ... კალათბურთისა რა მოგახსენოთ. წლიდან წლამდე, სეზონიდან სეზონამდე ქართველი გულშემატკივარი ელის ჩვენი კალათბურთის გამოცოცხლებას, დონის, ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, მაგრამ წინსვლა კი არა, 90-იანებში რომ იყო, ის ილაჯ-ლაზათიც იკარგება.

ერთი სიტყვით, მე-15 ეროვნული ჩემპიონატი იწყება და მიუხედავად იმისა, რომ აქედანვე ვიცით, დონიან და თვალისმომჭრელ სანახაობას ვერ ვიხილავთ, მაინც იმედით და დაძაბული განცდებით ვხვდებით ვერის ბაღში კალათბურთის გამოღვიძებას.

ჩვეულებისამებრ, ეს ჩემპიონატიც დიდი ცვლილებებით იწყება. საქართველოში ასეა, მოკლევადიანი კონტრაქტები ფორმდება და კალათბურთელი შარშან რომ ერთგან იბურთავებს, სეზონთშორის რომელი გუნდიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს, სწორედ იქ წავა.

ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ დასაფიქრებელი ისაა, რომ ამჯერად კალათბურთელისთვის რამე ხეირიანის შემთავაზებელი გუნდები გვარიანად შემცირდა. აქამდე რა იყო, რომ შემცირებულიყო?! მაინც შემცირდა, თუნდაც „სტუ-ჯეოსელისა" და „დინამოს" სახით.

მაგრამ მოდით, სანამ ჯიბეგათხელების ტენდენციებზე ვისაუბრებთ, „სტუ-ჯეოსელი" ვახსენეთ და ჩემპიონის ვარამისაც ვთქვათ.

ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა წინა სეზონში ყველაფერი მოიგო, ჯამში სამი ტიტული ირგუნა, მაგრამ ჯიბესქელმა სპონსორმა, კომპანია „ჯეოსელმა" მიატოვა და ტექნიკოსებს ხვეწნა-დაპირებებით მოუწიათ გუნდის შენარჩუნება. ცხადია, ყველას ვერ დააკავებდნენ და რამდენიმე წამყვანი მოთამაშემ სტუ დატოვა. ტექნიკოსთა მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ კანდელაკმა თქვა, იანვრიდან სპონსორი გვეყოლება და ხელფასებიც დარიგდებაო. ვნახოთ...

ჩემპიონატის ორი გამოკვეთილი გუნდია ახლახან დუდუ დადიანის ფინალში შეჯახებული „ავიამშენი" და „თსუ-ნიკორა". ავიატორები გასული ჩემპიონატის ფინალშიც იყვნენ და ამჯერად ერთადერთ მიზნად ოქროს მედლების მოგება დაუსახავთ. თსუ კი შარშანაც პერსპექტიული იყო და ახლა ფულიანი სპონსორისა და ძლიერი მოთამაშეების შემატებასთან ერთად ვინძლო საჩემპიონო ამბიციაც შეიმატეს.

ამათ ჩრდილში არიან მოქცეულნი სტუ და რუსთავის „აზოტი".

ყურადღებაა მისაქცევი ქვემოქართლური გუნდის სახელწოდებების ცვლაზე. შარშანწინ რუსთავულ კლუბს თმკც ერქვა, შარშან „რუსთავი", ახლა კი ძველი და მშობლიური სახელი დაიბრუნა — „აზოტი".

მიზეზი საწარმო „აზოტის" კალათბურთისკენ მობრუნებაა, თუმც რუსთავულ გუნდს რეალურად ფინანსური დამხმარე ჯერ არ ჰყავს.

რას მიქვიან სახელიო, იტყვის რუსთაველი ქომაგი, მთავარია, ჩვენს გუნდს ამბიცია დაუბრუნდაო. მთლად პირველობისთვის ვერა, მაგრამ ქვემოქართლელებს ახლა სამეულში შეძრომის ამბიცია აქვთ. რუსთაველები კი გაძლიერდნენ, მაგრამ ეს უფრო სხვა გუნდების დასუსტების ხარჯზე მოხდა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რამაზ გოგობერიშვილს „აზოტში" მიბრუნება, თუმც ამ ვეტერან კალათბურთელზე არანაკლებ რუსთაველებს ალბათ ახალგაზრდა მოთამაშეების ეიმედებათ. ოთარ ხმელიძე კვლავ დიდი მონდომებით მუშაობს რუსთაველ ბავშვებთან და მის გამოზრდილთაგან მოსავლის აღების დროც დაუდგა. მიშა ჭოჭუამ დუდუ დადიანის ტურნირზე ყველას დაანახვა, რომ ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდა იქნება და რუსთაველებს კიდევ რამდენიმე გონებაგახსნილი ყმაწვილიც ჰყავთ.

ახალგაზრდობა არ აკლია, მაგრამ „დინამოს" ძალიან გაუჭირდება ამ ჩემპიონატში. ბადრი პატარკაციშვილი ძველ ფლაგმანს ყოველი სეზონის წინ უმცირებს ბიუჯეტს და წლეულს „დინამოს" საერთოდ დაშლა ემუქრებოდა, მაგრამ... პატარკაციშვილმა იმდენი ფული გამოყო, რამდენიც უბრალო, უპრეტენზიო გუნდის შესანახად იკმარებდა.

აი, ზემოთ ჩამოთვლილი ხუთი გუნდი იქნება ამ ჩემპიონატში მეტ-ნაკლებად გამორჩეული, დანარჩენი სამი კი — სსუ, „მაკაბი" და „ქუთაისი" — სტატისტის როლში მოგვევლინება და ქულებს ერთმანეთთან მატჩებში თუ მოიხვეჭს.

ძალიან სუსტი იქნება, მაგრამ „ქუთაისის" ჩემპიონატში მობრუნება უდავოდ სასიხარულო ამბავია. ზაურ დოლაბერიძეს ქუთათურთა გაწვრთნაში ძველი კალათბურთელი გელა დარსაძე დაეხმარება და იმერლებმა იქნებ სამი-ოთხი თამაშიც მოიგონ.

ჩემპიონატის ფორმატი უცვლელია — ოთხი წრის შემდეგ რვავე გუნდი პლეი ოფში დაწყვილდება. მეოთხედფინალებიდან ფინალამდე გუნდები მომდევნო ეტაპზე სერიაში ორი გამარჯვების შედეგად გავლენ, ჩემპიონი კი ტრადიციულად სამი მოგების შედეგად გამოვლინდება.

**ირაკლი პერტაია**

### სტუ

| | | |
|---|---|---|
| შალვა კოხრეიძე | 1986 | 189 |
| ზვიად მიქაძე | 1979 | 192 |
| გიორგი გაგნიძე | 1981 | 192 |
| დავით მურჯიკნელი | 1987 | 203 |
| გულივერ ახალკაცი | 1986 | 205 |
| რიჩარდ მათიაშვილი | 1989 | 207 |
| ირაკლი კეიდია | 1983 | 205 |
| ლუკა შანიძე | 1982 | 200 |
| ლაშა ლოსაბერიძე | 1982 | 197 |
| მანუჩარ ნინუა | 1986 | 182 |
| ალექსანდრე ქისტაური | 1983 | 194 |

*მთავარი მწვრთნელი:* ნუგზარ ქეიშვილი
*მწვრთნელები:* გიორგი ბასილაია, ნოდარ მუსერიძე

### სსუ

| | | |
|---|---|---|
| დავით თორთლაძე | 1970 | 180 |
| გოჩა კორძაძე | 1986 | 205 |
| ლუკა ნოზაძე | 1988 | 207 |
| გიორგი გასიტაშვილი | 1987 | 195 |
| ალექსანდრე ბენდიაშვილი | 1986 | 190 |
| დავით ჯიქია | 1989 | 192 |
| ბექა გოლეთიანი | 1988 | 194 |
| ლაშა ონიკაშვილი | 1984 | 197 |
| გურამ მოდებაძე | 1985 | 186 |
| მამუკა ხოშტარია | 1984 | 195 |
| ბეჟან ქვილითაია | 1982 | 175 |
| გიორგი ცერცვაძე | 1989 | 200 |
| დავით ქვარაია | 1985 | 195 |

*მთავარი მწვრთნელი:* ვაჟა კვარაცხელია
*მწვრთნელი:* ირაკლი ძიძიგური

### თბილავიამშენი

| | | |
|---|---|---|
| ირაკლი ხოშტარია | 1976 | 190 |
| დავით ბერიშვილი | 1987 | 181 |
| გიორგი მარკოზიშვილი | 1983 | 200 |
| ნოდარ ბექაური | 1986 | 198 |
| ლევან მოსეშვილი | 1986 | 195 |
| გიორგი ნიკოლაძე | 1978 | 188 |
| ნიკოლოზ ჩხატარაშვილი | 1986 | 202 |
| ანატოლი ბერიშვილი | 1983 | 188 |
| ამროსი ორმოცაძე | 1970 | 200 |
| გოჩა წონელია | 1977 | 195 |
| ბექა ნოზაძე | 1979 | 202 |
| პლასიდე როდუმტა | 1976 | 212 |
| თორნიკე ნინიაშვილი | 1982 | 205 |
| გიორგი მინაშვილი | 1979 | 202 |

*მთავარი მწვრთნელი:* ლევა ნმოსეშვილი
*მწვრთნელი:* ვაჟა მხეიძე

### აზოტი

| | | |
|---|---|---|
| რამაზ გოგობერიშვილი | 1974 | 194 |
| ირაკლი ჯაფარიძე | 1973 | 205 |
| აჩიკო ჟღენტი | 1975 | 183 |
| ლევან ჩაჩუა | 1978 | 192 |
| იური დანელიანი | 1981 | 200 |
| დავით არჩეიძე | 1983 | 176 |
| ბეგი ლიპარტელიანი | 1985 | 194 |
| ილია გოგსაძე | 1985 | 196 |
| ოთარ ფაიქრიძე | 1985 | 190 |
| მიხეილ ჭოჭუა | 1987 | 193 |
| ლევან ცეკავა | 1989 | 189 |

*მთავარი მწვრთნელი:* ოთარ ხმელიძე
*მწვრთნელები:* ბადრი კიკვიძე, ბიძინა ჯაგაშვილი, ამირან ხაჩიძე

### თსუ-ნიკორა

| | | |
|---|---|---|
| ნიკოლოზ ვეფხვაძე | 1981 | 187 |
| გიორგი მარხვაშვილი | 1982 | 190 |
| მიხეილ ფანჩულიძე | 1983 | 192 |
| ირაკლი მაისურაძე | 1976 | 190 |
| მიხეილ ბერიშვილი | 1987 | 203 |
| ზურაბ სანიკიძე | 1985 | 205 |
| ლევან ტყემელაშვილი | 1983 | 204 |
| გიორგი ლომიძე | 1984 | 205 |
| ბესო ლეჟავა | 1986 | 192 |
| დავით ბერძენიშვილი | 1976 | 208 |
| ირაკლი ბერიშვილი | 1978 | 180 |
| ლაშა კემულავა | 1980 | 199 |
| დავით მუმკუდიანი | 1980 | 206 |

*მთავარი მწვრთნელი:* მამუკა ტურაშვილი
*მწვრთნელები:* გიორგი ჯავახიშვილი

### მაკაბი

| | | |
|---|---|---|
| მამუკა ფიცხელაური | 1976 | 206 |
| სოსო შერმადინი | 1987 | 208 |
| გივი ვაშაკიძე | 1985 | 204 |
| ზურაბ მერებაშვილი | 1984 | 200 |
| დავით ენუქიძე | 1985 | 198 |
| ზურაბ კორკოტაძე | 1984 | 196 |
| სოსო ნინოშვილი | 1981 | 190 |
| მამუკა აბრამიძე | 1973 | 195 |
| მიხეილ ბარსეგიანი | 1985 | 194 |

*მთავარი მწვრთნელი:* ჯამლეტ ხუხაშვილი
*მწვრთნელები:* მიხეილ ხუხაშვილი, ალექსანდრე ფერიაშვილი

### დინამო (თბ)

| | | |
|---|---|---|
| ვანო მაისურაძე | 1986 | 195 |
| ლექსო ლაფანაშვილი | 1987 | 195 |
| გიორგი გულისაბედაშვილი | 1988 | 192 |
| ლადო სუხიშვილი | 1979 | 206 |
| ბექა ნოზაძე | 1989 | 189 |
| ნოდარ სიგუა | 1987 | 188 |
| ლაშა დევიძე | 1989 | 203 |
| ალეკო ძიძიგური | 1990 | 193 |
| დავით გვიმრაძე | 1986 | 183 |
| ნიკოლოზ დერიუგინი | 1985 | 202 |
| ზურაბ ბადრიძე | 1985 | 188 |
| ნიკოლოზ წერეთელი | 1990 | 197 |

*მთავარი მწვრთნელი:* დავით უსტიაშვილი
*მწვრთნელები:* ზურაბ იოსელიანი, გიორგი სანაძე

### ქუთაისი

| | | |
|---|---|---|
| ვიქტორ კოლუაშვილი | 1985 | 207 |
| ლაშა მამისეიშვილი | 1985 | 205 |
| გიორგი ნიჟარაძე | 1985 | 188 |
| აჩიკო ფურცხვანიძე | 1985 | 202 |
| დიმიტრი ნარსია | 1987 | 193 |
| დავით ჭულუხაძე | 1986 | 194 |
| გიორგი ლოსაბერიძე | 1986 | 183 |
| მამია ყიფიანი | 1989 | 195 |
| ლევან მამასახლისი | 1986 | 188 |
| გიორგი ბერუაშვილი | 1989 | 186 |
| ნოე შანიძე | 1982 | 208 |
| გიორგი პირტახია | 1981 | 189 |
| მიხეილ ცერცვაძე | 1983 | 208 |

*მთავარი მწვრთნელი:* ზაურ დოლაბერიძე
*მწვრთნელი:* გელა დარსაძე

### პირველი წრე

| | |
|---|---|
| **18 ოქტომბერი** | |
| სსუ — მაკაბი | 12.00 |
| ჩემპიონატის გახსნა | 13.30 |
| სტუ — თსუ-ნიკორა | 14.15 |
| ავიამშენი — დინამო | 16.00 |
| „აზოტი" — ქუთაისი | 15.00 |
| **24 ოქტომბერი** | |
| სტუ — დინამო | 12.00 |
| თსუ-ნიკორა — აზოტი | 14.00 |
| ქუთაისი — სსუ | 16.00 |
| ავიამშენი — მაკაბი | 18.00 |
| **28 ოქტომბერი** | |
| სსუ — სტუ | 12.00 |
| დინამო — ქუთაისი | 14.00 |
| მაკაბი — ქუთაისი | 16.00 |
| აზოტი — ავიამშენი | 12.00 |
| **2 ნოემბერი** | |
| სსუ — ავიამშენი | 12.00 |
| მაკაბი — თსუ-ნიკორა | 14.00 |
| ქუთაისი — სტუ | 16.00 |
| აზოტი — დინამო | 12.00 |
| **7 ნოემბერი** | |
| მაკაბი — სტუ | 12.00 |
| თსუ-ნიკორა — ავიამშენი | 14.00 |
| დინამო — ქუთაისი | 16.00 |
| აზოტი — სსუ | 12.00 |
| **11 ნოემბერი** | |
| სსუ — დინამო | 12.00 |
| სტუ — ავიამშენი | 14.00 |
| ქუთაისი — თსუ-ნიკორა | 16:00 |
| მაკაბი — აზოტი | 18.00 |
| **17 ნოემბერი** | |
| თსუ-ნიკორა — სსუ | 12.00 |
| ავიამშენი — ქუთაისი | 14.00 |
| აზოტი — სტუ | 12.00 |
| **27 ნოემბერი** | |
| დინამო — მაკაბი | 18.00 |

*„აზოტი" საშინაო მატჩებს რუსთავში უმასპინძლებს*

# ჩეხის ჰეთ თრიქი და ხორვატის დუბლი

## ბლეიკმა ბრეიკი გაახერხა და ტაიბრეიკზე მოიგო

*კვირას დამთავრდა კრემლის თასის პარალელურად მიმდინარე ATP-სა და WTA-ს რანგის რამდენიმე ტურნირი. მართალია, ისინი მოსკოვის დარი საპრიზო ფონდებით ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ მაინც რამდენიმე საინტერესო შედეგი დაფიქსირდა, რაც ჩვენი მკითხველისათვის უინტერესო ნამდვილად არ იქნება*

**WTA. ბანგკოკი. ტაილანდი. მაგარსაფარი. საპრიზო 200 ათასი $**

**ფინალი**

**ნიკოლ ვაიდისოვა** (ჩეხეთი, 2) — **ნადია პეტროვა** (რუსეთი, 1) — 6:1 6:7 7:5

**ბანგკოკის** ტურნირი ჩეხმა თინეიჯერმა, ნიკოლ ვაიდისოვამ მოიგო და ამით ერთგვარი ჰეთ თრიქი შეასრულა — ზედიზედ მესამე ტურნირი დაასრულა გამარჯვებით. ვაიდისოვასთვის წლეულს აზია მეტად ბედნიერი გამოდგა.

შეგახსენებთ, რომ ბანგკოკამდე მან სეულის და ტოკიოს ტურნირები მოიგო, საერთოდ კი კარიერის განმავლობაში 16 წლის ჩეხს ხუთი ტიტული დაუგროვდა.

ბანგკოკის ტურნირმა უსენსაციოდ ჩაიარა. ასე განსაჯეთ, ფინალში ტურნირის პირველი და მეორე ნომრები შეხვდნენ ერთმანეთს, ხოლო ახალგაზრდა ჩეხის გამარჯვება მოულოდნელობა ნამდვილად არ არის, ვინაიდან ის ახლა მართლაც მშვენიერ ფორმაშია.

ფინალი ვაიდისოვას აშკარა უპირატესობით დაიწყო და მან პირველი სეტი იოლადაც მოიგო. თუმცა პეტროვამ შეძლო თამაშის გათანაბრება, უმატა ტემპს და საბოლოოდ მეორე სეტი ტაი-ბრეიკზე მოიგო. გადამწყვეტ სეტში თანაბარი თამაში გაჩაღდა, რომელშიც გარდატეხა მხოლოდ მეთერთმეტე გეიმში მოხდა, როცა ჩეხმა ბრეიკი გააკეთა, შემდეგ თავისი მოწოდებაც მოიგო და მატჩიც თავის სასარგებლოდ დაამთავრა.

თამაშის შემდეგ ვაიდისოვამ განაცხადა:

„ჩემი თამაშით მთლიანობაში კმაყოფილი ვარ. მე დავამტკიცე, რომ როცა ჩემს თამაშს ვპოულობ, შემიძლია მაღალი რანგის ჩოგბურთელის დამარცხება."



AFP ბანგკოკიდან

ნიკოლ ვაიდისოვა



AFP ვენიდან

ივან ლიუბიჩიჩი

**ATP. სტოკჰოლმი. შვედეთი. მაგარსაფარი. საპრიზო 659 ათასი €**

**ფინალი**

**ჯეიმს ბლეიკი** (აშშ, 6) — **პარადონ შრიჩაპანი** (ტაილანდი) — 6:1 7:6

**სტოკჰოლმში** მიმდინარე ტურნირი საკმაოდ მოულოდნელი ფინალით დასრულდა. აქ განთესილმა მოთამაშეებმა ცუდად იასპარეზეს და მათგან ფინალში მხოლოდ მეექვსე ნომერი, ამერიკელი ბლეიკი გავიდა, მეორე ფინალისტი კი ტაილანდელი შრიჩაპანი იყო.

თამაში, რომელიც 1 საათსა და 22 წუთს გაგრძელდა, ამერიკელის გამარჯვებით დასრულდა. ფინალში პირველი სეტი ბლეიკის უდიდესი უპირატესობით წარიმართა და მისი იოლი გამარჯვებითაც დასრულდა. მეორე სეტში ტაილანდელმა გამოასწორა თამაში და მისი მოგებაც შეეძლო, როცა ანგარიში 5:4 იყო მის მოწოდებაზე. თუმც ბლეიკმა ბრეიკი გაახერხა, ხოლო სეტი და შესაბამისად მატჩიც ტაიბრეიკზე მოიგო.

ბლეიკისთვის წლეულს ეს მეორე ტიტულია და პირველი — ევროპულ კარიერაში. თამაშის შემდეგ ამერიკელმა ხაზი სწორედ ამ მოვლენას გაუსვა და განაცხადა, რომ ევროპაში გამარჯვება მისთვის ერთიორად სასიხარულოა, შრიჩაპანმა კი მეტოქეს გამარჯვება მიულოცა და წაგება უყურადღებობას დააბრალა.

**ATP. ვენა. ავსტრია. საპრიზო 656 ათასი €**

**ფინალი**

**ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია, 4) — **ხუან-კარლოს ფერერო** (ესპანეთი, 7) — 6:2 6:4 7:6

**თუ** ვაიდისოვას ჰეთ თრიქზე ვლაპარაკობდით, ლიუბიჩიჩის შემთხვევაში დუბლზე შეგვიძლია ვისაუბროთ. ხორვატმა წინა კვირას მეცის ტურნირის მოგება [illegible], ახლა უკვე ვენის ტიტულიც დაიმატა. წლეულს ლიუბიჩიჩისთვის ეს მეექვსე ფინალი იყო, თუმცა მხოლოდ მეორედ შეძლო გამარჯვება. როგორც ჩანს, ხორვატი დევისის თასის ფინალს ფორმის პიკზე უახლოვდება, რაც სლოვაკებს ალბათ დამატებით საფიქრალს გაუჩენს.

ფინალში, რომელიც 2 საათსა და 31 წუთს გაგრძელდა, ლიუბიჩიჩმა ესპანელ ფერეროს მოუგო. ხორვატის წარმატების მთავარი მიზეზი მის მოწოდების სიძლიერესა და სტაბილურობაშია. მან ფინალში 21 ეისი მოაწოდა, ხოლო ტურნირის განმავლობაში თავისი მოწოდება ერთხელაც არ დათმო.

2003 წლის საფრანგეთის ღია პირველობის მომგებ ესპანელისთვის კი, რომელსაც ტრავმების გამო თითქმის სეზონნახევარი გაუცდა, ვენის ფინალში გასვლა საკმაოდ კარგი შედეგია. ამ ტურნირზე ის ნორმალურად გამოიყურებოდა, თუმცა ლიუბიჩიჩთან ვერაფერი გააწყო და წინააღმდეგობა მხოლოდ მესამე სეტში გაუწია.

ლიუბიჩიჩი მეორე ხორვატია ლეგენდარული გორან ივანიშევიჩის შემდეგ, რომელმაც ვენის ტურნირის მოგება მოახერხა. თამაშის შემდეგ ხორვატმა განაცხადა, რომ იძულებული იყო, უფრო აგრესიული ჩოგბურთი ეთამაშა, ვინაიდან გრძელი გათამაშებების შემთხვევაში უპირატესობა ესპანელის მხარეს იქნებოდა. ლიუბიჩიჩმა ასევე იმედი გამოთქვა, რომ თუ მასტერსის სერიის მომავალ ორ ტურნირზე კარგად ითამაშებს, მასტერსის თასზე თამაშის შანსიც მიეცემა, რაც მას დამატებით სტიმულს აძლევს.

**კახა ლომაშვილი**

# კრემლის დამპყრობნი



იგორ ანდრეევი



მარი პირსი

**კვირას** გაირკვა კრემლის თასის ქალთა და ვაჟთა გათამაშებების გამარჯვებულთა ვინაობა, რაც უკვე გაუწყეთ. თუ ფრანგი მარი პირსი ტურნირის დაწყებამდეც მისი მოგების ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა, ამას ვერ ვიტყვით 22 წლის რუს იგორ ანდრეევზე.

იგორ ანდრეევი ძალიან გახარებული იყო. თქვა, კრემლის თასის მოგება ჩემი დიდი ხნის ოცნება იყოო. მით უმეტეს, რომ რამდენიმე წლის წინათ ამ ტურნირზე ბურთების მომწოდებელი ყოფილა. ანდრეევმა სასწაული უწოდა იმას, რომ შეძლო მეორე სეტის 1:4-დან შემობრუნება, რაც უაღრესად რთულია მაგარსაფარზე. ეს ყოველივე რუსმა იმითაც ახსნა, რომ მისმა მოწინააღმდეგემ ნაადრევად ირწმუნა მოგება და ოდნავ მოეშვა.

საკმაოდ სკანდალური გამოუვიდა პრესკონფერენცია გერმანელ ნიკლას კიფერს. მან შეაქო თავისი მოწინააღმდეგე, მაგრამ მსაჯების როლზე გააკეთა აქცენტი:

„საერთოდ, მეტად ძნელია რუს ჩოგბურთელებთან თამაში რუსეთში. რამდენიმე შეცდომა დაუშვეს გვერდითმა მსაჯებმა, მაგრამ მთავარი მსაჯი კი ნამდვილად მძღ"– კიფერს ალბათ ამისთვის დააჯარიმებენ.

რაც შეეხება მარი პირსს, იგი პრესკონფერენციაზე დიდხანს არ დარჩენილა. თქვა, რომ საკმაოდ დაიღალა და ამის გამო შეიძლება უარი განაცხადოს ციურიხის ტურნირზე.

რუსი ჟურნალისტების თხოვნაზე, შეედარებინა ახლანდელი გრძნობები 7 წლის წინანდელთან, როცა მან პირველად იმარჯვა მოსკოვში, პირსმა განაცხადა, რომ აღარ ახსოვს, მაშინ რა განიცადა, ბოლოს კი ისიც დაამატა, რომ თავის ძმასთან და ფიზმომზადების მწვრთნელთან ერთად კიდევ ერთი დღე დარჩება მოსკოვში, რათა თავისი გამარჯვება რუსეთის დედაქალაქში აღნიშნოს.

**კახა ლომაშვილი**

*რუსთა საამაყო ჩოგბურთელ მარატ საფინს უქმობა ძალიან გაეწელა. ხანგრძლივი „შვებულების" მიზეზად ოფიციალურად სპორტსმენის ტრავმისშემდგომი სარეაბილიტაციო პროცესი სახელდებოდა, თუმც ბოლო დროს ჟურნალ-გაზეთები უფრო რეალურ მიზეზზე ალაპარაკდნენ*

# საცვლებში გამოჭერილი

## საფინს ახალი ნატაშა ჰყავს

**არყის, ბალალაიკასა და ქალების** ტრფიალი საფინი რომ არც ერთ ხმაურიან ელიტარულ შეკრებას არ აკლდება, არახალია. ასეთ ღონისძიებებზე ბოლოხანს ოფიციალურ საცოლესთან, მავან ნავთობმაგნატის შვილთან ერთად დადიოდა. კულუარებში უკვე ქორწილზეც კი საუბრობდნენ, მაგრამ მარატისგან ახალი სიურპრიზი მიიღეს.



მოსკოვში „კრემლის თასი" რომ გახურდა და რუსი ჩოგბურთელები ძლიერ უცხოელებთან ჩოგნაობდნენ, საფინი ამ დროს ახალ გატაცებასთან ერთად საცვლების ჩვენებაზე გამოიჭირეს.

„გეხვეწებით, ერთად არ გადაგვიღოთ" — მიუმართავს სპორტსმენს რეპორტიორთათვის, მაგრამ ვერც ისინი მოუთაფლავს და ვერც მწერალი ჟურნალისტები, რომლებმაც ახალი სატრფოს ბიოგრაფია გამოამზეურეს. ნატაშა ელიტარული წვეულებების მოყვარულთათვის კარგად ნაცნობი მდედრი ყოფილა, თუმც არც მოდელია და არც შოუ-ბიზნესის წარმომადგენელი.

საცვლების კოლექციის დათვალიერების შემდეგ წყვილი ფეხბურთელ ბულიკინთან და მის მეგობარ მოდელ გოგოსთან ერთად დროსტარების გასაგრძელებლად გაეშურა. იქნებ სხვა საცვლების კოლექციის სანახავადაც...

**ოთარ გალლაკელიძე**



საქართველოს კარატეს ეროვნული კავშირის ნაკრები

# კარატისტები ოლიმპიადას უმიზნებენ

*ახლახან სტამბოლმა სპორტულ კარატეში პირველ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. 7 ქვეყნის 30-მდე გუნდს შორის საქართველოს კარატეს კავშირის ეროვნული ნაკრებიც იყო და საკმაოდ წარმატებულადაც გამოვიდა. ქართველებმა სამივე სინჯის ორ-ორი მედალი მოიპოვეს. თათია მელუა და გოგიტა არქანია ჩემპიონები გახდნენ, ლაშა კვაბზირიძემ და ლადო ბეგიაშვილმა მხოლოდ ფინალები დათმეს, ხოლო გიორგი თავაძე და რუდიკ საგრუნოვი მესამეზე გავიდნენ. ტურნირი მსოფლიოს კარატის ფედერაციის (**WKF**) ეგიდით ჩატარდა. ეს ორგანიზაცია კარატის იმ მთავარ სახეობას უდგას სათავეში, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს და ოლიმპიადაზე მოხვედრის უმთავრეს კანდიდატად ითვლება. საქართველოში **WKF**-ის წევრი კი კარატეს ეროვნული კავშირია. მის პრეზიდენტ მიხეილ მახარაძეს თურქული ტურნირისა და ჩვენი ნაკრების სამომავლო გეგმების შესახებ ვესაუბრეთ:*

— სტამბოლის ტურნირი პირველად გაიმართა. უკვე ცნობილია, რომ იგი ტრადიციული გახდება, პოპულარობაზე კი მონაწილე ქვეყნების შემადგენლობებიც მეტყველებს. თურქეთში მსოფლიოს და ევროპის არაერთი ჩემპიონი ჩამოვიდა. თუნდაც რაფაელ აგაევის გამოსვლა რად ღირს. ეს აზერბაიჯანელი თანამედროვე კარატის ერთ-ერთ ვარსკვლავად ითვლება, იგი წლევანდელი ევროპის ჩემპიონია აბსოლუტურ წონაში. მოკლედ, თურქეთში ძალიან ძლიერი შეჯიბრი ჩატარდა და მასზე კარგი გამოსვლა ჩვენთვის განსკუთრებით სასიამოვნოა. არ იქნება, მიკერძოებული მსაჯობა არ ვახსენო. ქართველებმა ამ ფსიქოლოგიურ ტვირთსაც ყოჩაღად გაუძლეს.

... მომავალ წელს ანალოგიურ საერთაშორისო ტურნირს საქართველომაც უნდა უმასპინძლოს. ამის თაობაზე უკვე სერიოზულად ვმუშაობთ. სტამბოლში ჩემს თურქ კოლეგას შევხვდი და რეგიონალური ორგანიზაციის ჩამოყალიბებაზე ვისაუბრეთ. ამ ორგანიზაციაში შავი და კასპიის ზღვის აუზის ქვეყნები შევლენ. მჭიდრო ურთიერთობები კი თითოეული წევრისთვის მომგებიანი იქნება. რეგიონალური ორგანიზაციის პრეზენტაცია სავარაუდოდ გაზაფხულზე, თურქეთში გასამართ „ბოსფორის თასზე" მოეწყობა.

... წლის ბოლომდე საერთაშორისო არენაზე ჩვენი კადეტთა და იუნიორთა ნაკრებები გავა. 11-13 ნოემბერს კვიპროსის ქალაქი ლიმასოლი მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ ტურნირზე წამსვლელ შემადგენლობას თვის ბოლოს გამოვავლენთ. 30 ოქტომბერს პირველად საქართველოში **WKF**-ის კარატეში ოქროს ლიგის ჩატარებას ვგეგმავთ. ამ ტურნირზე ყველა ასაკის სპორტსმენი გამოვა. გამარჯვებულები მხოლოდ აბსოლუტურ წონაში გამოვლინდებიან და კადეტთა და იუნიორთა ნაკრებებიც ამ შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება.

... **WKF**-ის ეგიდით ჩატარებულ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ოქროს მედალი ჯერ არასოდეს მოგვიგია. ეს ტურნირები თავისი გრანდიოზულობით და პრესტიჟულობით აშკარად გამორჩეულია. სპორტული კარატე ოთხივე ტრადიციულ სტილს მოიცავს. **WKF**-ის მსოფლიოს პირველობაზე აღებული ბრინჯაო ცალკეული სტილების ოქროზე პრესტიჟულია. აქვე ერთი შედარებაც: სპორტსმენი, რომელიც **WKF**-ის დიდ ტურნირზე მეოთხედფინალს მიაღწევს, ცალკეულ სტილში ჩემპიონობას ადვილად შეძლებს. სტამბოლის ტურნირის ჩემპიონებს თათია მელუას და გოგიტა არქანიას აქამდე სხვადასხვა სტილის ევროპის ჩემპიონატზე არაერთხელ უჩემპიონიათ.

... უკვე დიდი ხანია, **WKF**-ის კარატე ოლიმპიურ სახეობებში მოხვედრის ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატად მოიაზრება. წლეულს სინგაპურში მხოლოდ ერთი ხმა დაგვაკლდა. მომავალში ამ საკითხის განხილვა აუცილებლად გაგრძელდება და იმედია, დადებითადაც გადაწყდება. რაც შეეხება ჩვენი სპორტსმენების პერსპექტივას, ეს მნიშვნელოვანწილად სახელმწიფოს მხარდაჭერაზეა დამოკიდებული. სპორტის დეპარტამენტთან ნელნელა მჭიდრო ურთიერთობას ვამყარებთ. ძალიან ნიჭიერი თაობა მოდის. მათთვის ახლა მთავარი საერთაშორისო ტურნირებზე სიარულია. თუ ეს მოხერხდა, მალე მსოფლიოს ჩემპონიც გვეყოლება.

**ოთარ გალაკელიძე**



ვერიკა თოლორდავაძის ფოტო

გოგიტა არქანია, მიხეილ მახარაძე და თათია მელუა



რეგულარული ჩემპიონატი

# ვუნდერკინდები იმედს ამართლებენ

16 ოქტომბერი

**ვაშინგტონი 3:2 ტამპა**

**1:2 1:0 0:0 0:0 1:0 ბულიტების სერიაში**

**0:1 ლეკავალიე (10), 1:1 კლარკი (12), 1:2 პროსპალი (18), 2:2 ზუბრუსი (44), 3:2 გადამწყვეტი ბულიტი: სიკორა**

**ალექსანდრ** ოვეჩკინისა და სიდნი კროსბის დაუსწრებელი შეჯიბრება სავსებით ამართლებს წინასწარ პროგნოზებს და ალბათ სეზონის ერთ-ერთ უმთავრეს მოვლენად იქცევა. ორივე ვუნდერკინდი ჩინებულად ატარებს ჩემპიონატს, ოვეჩკინმა ამჯერადაც გააკეთა საგოლე პასი. ბულიტების სერიაში კი თავისი მორიგი გოლი გაიტანა, ოღონდ გადამწყვეტი ახალბედა პეტრ სიკორას ბულიტი გამოდგა და სწორედ ის შევიდა თამაშის ოქმში.

**მინესოტა 4:1 ანაჰაიმი**

**2:0 1:0 1:1**

**1:0 როლსტონი (6), 2:0 კუბა (14), 3:0 ბუშარი (33), 4:0 ვანეიგი (44), 4:1 სენ ჟაკი (60)**

**როგორც** ჩანს, „მინესოტას" სულაც არ ადარდებს ის ცვლილებები, რომელთაც ლიგამ წლეულს მიმართა შედეგიანობის გაზრდისთვის. მოგეხსენებათ, ნჰლის მიზანი სწორედ ის იყო, რომ „უაილდის" დარ გუნდებს უფრო ღია და შემტევი ჰოკეი ეთამაშათ, მაგრამ ჟაკ ლემერი და მისი შეგირდები ისევ საფირმო დაცვითი ტაქტიკით ასპარეზობას აგრძელებენ და წარმატებებსაც აღწევენ. დღესდღეობით მათზე ნაკლები შაიბა მხოლოდ ორ გუნდს აქვს გაშვებული და „მინესოტა" თავის დივიზიონში ერთპიროვნულად ლიდერობს. როგორც კი მასპინძლებმა პირველ პერიოდში ორი გოლი გაიტანეს, თამაში „ჩაკეტეს" და მეტოქეს გასაქანი არ მისცეს.

**ვანკუვერი 5:2 დალასი**

**2:0 0:2 3:0**

1:0 დ. სედინი (6), 2:0 სალო (7), 2:1 ლეჰტინენი (25), 2:2 ლეჰტინენი (29), 3:2 გორენი (44), 4:2 ბერტუცი (55), 5:2 პარკი (58)

**ლოს ანჯელესი 3:1 კოლუმბუსი**

**2:0 1:0 0:1**

1:0 არმსტრონგი (9), 2:0 კამალერი (19), 3:0 ფროლოვი (34), 3:1 ჟერდევი (49)

## აღმოსავლეთ კონფერენცია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტა** | | | | | | |
| რეინჯერსი | 6 | 3 | 1 | 2 | 21:15 | 8 |
| ფილადელფია | 5 | 3 | 2 | 0 | 21:17 | 6 |
| ნიუ ჯერსი | 5 | 2 | 3 | 0 | 12:18 | 4 |
| პიტსბურგი | 6 | 0 | 2 | 4 | 17:26 | 4 |
| აილენდერსი | 5 | 2 | 3 | 0 | 14:19 | 4 |
| **ჩრდილო აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ოტავა | 5 | 5 | 0 | 0 | 21:10 | 10 |
| ტორონტო | 6 | 3 | 1 | 2 | 27:17 | 8 |
| ბუფალო | 6 | 4 | 2 | 0 | 17:15 | 8 |
| ბოსტონი | 6 | 3 | 3 | 0 | 19:21 | 6 |
| **სამხრეთ აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ფლორიდა | 6 | 4 | 2 | 0 | 13:10 | 8 |
| ტამპა | 7 | 3 | 2 | 2 | 17:15 | 8 |
| ვაშინგტონი | 7 | 3 | 4 | 0 | 17:33 | 6 |
| კაროლინა | 5 | 3 | 2 | 0 | 19:13 | 6 |
| ატლანტა | 6 | — | 4 | 0 | 17:22 | 4 |

## დასავლეთ კონფერენცია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 6 | 5 | 1 | 0 | 24:13 | 10 |
| ნეშვილი | 5 | 5 | 0 | 0 | 18:13 | 10 |
| ჩიკაგო | 6 | 2 | 4 | 0 | 17:21 | 4 |
| სენტ ლუისი | 5 | 1 | 4 | 0 | 11:19 | 2 |
| კოლუმბუსი | 6 | 1 | 5 | 0 | 11:19 | 2 |
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | | | | |
| ვანკუვერი | 6 | 4 | 1 | 1 | 20:18 | 9 |
| მინესოტა | 6 | 3 | 2 | 1 | 21:13 | 7 |
| ედმონტონი | 6 | 3 | 3 | 0 | 14:17 | 6 |
| კალგარი | 6 | 2 | 3 | 1 | 17:23 | 5 |
| კოლორადო | 5 | 2 | 2 | 1 | 19:16 | 5 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| დალასი | 6 | 4 | 2 | 0 | 18:18 | 8 |
| ლოს ანჯელესი | 6 | 4 | 2 | 0 | 17:15 | 8 |
| სან ხოსე | 5 | 3 | 2 | 0 | 20:19 | 6 |
| ანაჰაიმი | 5 | 2 | 2 | 1 | 14:16 | 5 |
| ფინიქსი | 6 | 1 | 4 | 1 | 12:16 | 3 |



ბრეტ ჰალი



# კრივი და კათოლიკური ცივილიზაცია

**რომის** კათოლიკური ეკლესიის მეთაური ბენედიქტ XVI პროფესიული კრივის კრიტიკით გამოდის. ჟურნალ „CIVITA CATOLICA"-ში („კათოლიკური ცივილიზაცია"), რომელიც ვატიკანის ოფიციალურ აზრს გამოხატავს, გამოჩნდა სტატია სათაურით „პროფესიული კრივის" ამორალურობა, რომელშიც სპორტის ეს სახეობა კრიტიკის ქარცეცხლშია გახვეული.

კათოლიკური ეკლესია წინათაც გამოდიოდა კრიტიკით და ამბობდა, რომ კრივი დაუნდობელი და სახიფათო სპორტის სახეობაა. პროფესიული კრივი, წმინდა მამების აზრით, უფრო მეტ გაკიცხვას იმსახურებს.

„კათოლიკური ცივილიზაციის" აზრით „კრივი მკვლელობის მცდელობის ლეგალიზებული ფორმაა".

როგორც ჟურნალი იუწყება, ბოლო 100 წლის განმავლობაში რინგზე მიღებული ტრავმებისგან 500 მოკრივე გარდაიცვალა. ჟურნალი იწრმუნება, რომ სპორტის ბიზნესმენები „მოკრივეებს ფულის საკეთებელ მანქანებად" იყენებენ.



მიუხედავად ამისა, პუბლიკაციაში აღიარებულია, კრივის აკრძალვა მისი მრავალმილიონიანი გულშემატკივართა არმიის გათვალისწინებით ძნელად განსახორციელებელიაო.

„თუ დამარცხებული მოკრივე ბრძოლის შემდეგ რამდენიმე დღის შემდეგ არ კვდება, იგი საკუთარ სახესა და სხეულზე. განსაკუთრებით კი სულში, ატარებს სიკვდილის ნიშნებს", — წერს ჟურნალი.

სტატიაში აღწერილია საკრივო პაექრობები, როგორც „გლადიატორთა სისხლიანი და სასიკვდილო" ბრძოლები.

სტატიის ავტორები ირწმუნებიან, რომ კრივი წინააღმდეგობაშია ქრისტიანული მორალის პრინციპებთან და ქადაგებასთან — „არა კაც ჰკლა!"

„ჩივიტა კათოლიკაში" ამგვარი კომენტარი მას შემდეგ გამოჩნდა, როცა ამას წინათ ამერიკელი მოკრივე ლევანდერ ჯონსონი ბრძოლის მერე ტვინში სისხლის ჩაქცევისგან გარდაიცვალა.

კათოლიკური ჟურნალი თავის ბოლო ნომერში კრიტიკულად განსჯის იმ გულშემატკივრებსაც, რომლებიც სიხარულისგან არიან აღტკინებულნი, როცა ხედავენ, თუ როგორ იტანჯება მათი კერპის მოწინააღმდეგე. სტატიაში ამგვარ დამოკიდებულებას „დაუნდობელი, არაადამიანურის უწოდეს".

# დე ლა ჰოია რინგიდან სენსაციურ წასვლაზე ფიქრობს

**ოსკარ დე ლა ჰოია** ექვს წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონის სახელით იწონებს თავს და ერთ-ერთი უძლიერესი მოკრივის სახელსაც დამსახურებულად ატარებს, თუმც ამჟამად უფრო მეტ დროს პრომოუტერობასა და ბიზნესმენობას უთმობს.




მიუხედავად ამისა, 32 წლის დე ლა ჰოიას რინგზე გამოსვლა მონატრებია და აქტიური სპორტული კარიერის დამთავრებას მხოლოდ 2006 წლისთვის აპირებს.

ოსკარი გაისად ორი ბრძოლის ჩატარებას გეგმავს, შემდეგ კი მუშტების ქნევას თავს დაანებებს და კრივში მხოლოდ პრომოუტერის რანგში დარჩება.

პირველი ბრძოლა მაისისთვის იგეგმება, მეორე კი სექტემბერში უნდა გაიმართოს. დე ლა ჰოია პირველ საშუალო, ან უფრო დაბალ წონაში აპირებს ჩხუბს და ორი სავარაუდო მეტოქის ვინაობაც დაასახელა. ერთ-ერთი მათგანი პირველ საშუალო წონაში ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონი რონალდ რაიტია, მეორე კი ქვესაშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონი ზაბა ჯუდე, თუმც ამათ გარდა სხვა კანდიდატურებიც განიხილება.

„ისეთი მოწინააღმდეგის პოვნა მინდა, როგორც მაგალითად, ვინკი რაიტია. ასეთთან აუტსაიდერის სტატუსი მერგება, რაც ჩემთვის უფრო დიდი გამოწვევა და სტიმულია. კრივიდან სენსაციურად მინდა წავიდე" — განაცხადა სტაჟიანმა მოკრივემ და აქვე თავის საპრომოუტერო საქმიანობაზეც ისაუბრა.

„ჯერ მხოლოდ 32 წლის ვარ და ამ საქმეში კიდევ დიდხანს ვიქნები. კრივს დიდი პოტენციალი და მომავალი აქვს. არუმმა და კინგმა მართლაც უზარმაზარი საქმე აკეთეს და ბევრი დიდი ბრძოლის ორგანიზატორებიც იყვნენ, თუმცა ჩემი აზრით, ისეთი ხალხთან ერთად, როგორც ვინკი რაიტია, რომელსაც საკუთარი პრომოუტერული კომპანია დაარსა, ან GOLDEN BOY PROMOTION-ის მესვეურები არიან, ამ საქმეში ნამდვილად ახალი თაობა მოდის".

**ლადო ფულუკიძე**



# ვლადიმერ კლიჩკოს არჩევანი: კრის ბერდი

**ვლადიმერ** კლიჩკო ერთ დროს ისეთივე პოპულარობითა და სახელით სარგებლობდა, როგორც მისი უფროსი ძმა, ვიტალი, თუმცა რამდენიმე წაგების შემდეგ მის კარიერას დაღმასვლა დაეტყო და ახლა უმცროს კლიჩკოს საქმის გამოსწორება განუზრახავს.

პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა კიდეც. ვლადიმერმა ნიგერიელი მოკრივე, სამუელ პიტერი დაამარცხა და ახლა ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაზე ოცნებობს.

„10-12 თვე ნაღდად ვერ მოვიცდი. მინდა, რაც შეიძლება, მალე ჩატარდეს საჩემპიონო ბრძოლა და ამისათვის ყველაფერს გავაკეთებ. სავარაუდოდ კრის ბერდთან ან ლეიმონ ბრიუსტერთან მომიწევს რკენა. ამ ორი ამერიკელიდან მე მაინც კრის ბერდს გამოვარჩევდი. მასთან უფრო საინტერესო იქნება დაპირისპირება" — განაცხადა უკრაინელმა პრესკონფერენციაზე.

ნიგერიელთან ჩატარებულ ბრძოლაზე საუბრისას კლიჩკომ აღნიშნა, მეტოქე აკრძალულ ილეთებს იყენებდა, მსაჯს კი ყურიც არ შეუბერტყავსო.

აღსანიშნავია, რომ მსგავს რამეებზე ვლადიმერს ადრეც დაუჩივლია. მაგალითად, ბრიუსტერთან ბრძოლის შემდეგ კლიჩკოს გუნდი ამტკიცებდა, ბრძოლის წინ მოკრივე აშკარად მოგვიწამლესო.

ბოლოს კლიჩკოს ჰკითხეს, მაიკ ტაისონის დარად, თქვენც ხომ არ აპირებთ მომავალში უსაქმოდ სხვადასხვა ქვეყნებში ხეტიალსა და მსოფლიოს ნახვასო, რაზეც კლიჩკომ უბრალოდ უპასუხა — „მოგზაურობას არც ახლა მიშლის ვინმე".

**ლადო ფულუკიძე**

# გულხელდაკრეფილები ქამრებს კარგავენ

**არის** ასეთი რუსული გამოთქმა — „ძნელია უსაქმურობა, მაგრამ ჩვენ არ გვეშინია სიძნელეების". ეს ფრაზა თავისთავად ღიმილისმომგვრელი კია, მაგრამ მის მიმდევართათვის იქნებ დამღუპველი აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში მოკრივეებზე მოგახსენებთ.

საქმე ისაა, რომ ომარ ნარვაესს, დანიელ სანტოსსა და დიეგო კორალესს შეიძლება საჩემპიონო ქამრები ჩამოართვან და ეს ყველაფერი მათი უქმობის ბრალია.

24 ოქტომბერს ლას ვეგასში **WBO**-ს კონგრესი უნდა ჩატარდეს და ამ მოკრივეთა ბედიც იქ გადაწყდება. უმსუბუქეს წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონ მორალესს ტიტულის ჩამორთმევა იმის გამო ემუქრება, რომ მან ვერ მოახერხა აუცილებელი, ტიტულის დასაცავი ბრძოლის ჩატარება.

სანტოსს, რომელიც პირველ საშუალო წონაში გახლავთ ჩემპიონი, იგივე ბედი ელის, რადგანაც ერთი წლის განმავლობაში უსაქმურობდა და კინკილა ბრძოლაც კი არ გაუმართავს.

კორალესის პრობლემა მორალესისას წააგავს. მსუბუქ წონაში მსოფლიოს ჩემპიონმა ასელინო ფრეიტასთან ტიტულის დასაცავად თუ არ იჩხუბა, ქამარს ჩამოართმევენ. კორალესი ასევე ხოსე ლუის კასტილიოსაც უნდა შეებრძოლოს.

**WBO**-ს პრეზიდენტმა ფრანსისკო ვალკარესმა აღნიშნა, ჯერ გადაწყვეტილი არაფერია და ყველაფერი კონგრესის მსვლელობისას გაირკვევაო. ისიც აღნიშნა, რომ **WBO** მზად იყო კორალეს-კასტილიოს ბოლო შეხვედრისთვის, რომელიც ცოტა ხნის წინ ჩატარდა, სატიტულო ბრძოლის სტატუსი მიეცა, მიუხედავად იმისა, რომ მეორის წონა დასაშვებზე მეტი აღმოჩნდა, თუმც მოკრივეთა პრომოუტერები ვერ შეთანხმდნენ და საქმე ჩაიშალა.

ვალკარესის თქმით, **WBO** დათმობაზე აღარ წავა, სპორტსმენებმა კიდევ ერთხელ რომც მოუქნიონ ერთმანეთს მუშტი, ბრძოლას საჩემპიონო სტატუსი არ ექნება.

ასეა თუ ისე, კორალესს ტიტულის დაცვა მაინც ასელინო ფრეიტასთან ჩხუბით მოუწევს, არ იხუბებს და ქამარს დაემშვიდობება.

**ლადო ფულუკიძე**

# სოლაიმანი არ ხუმრობს

**ავსტრალიელ** საშუალოწონსან მოკრივეს სემ სოლაიმანს მსოფლიოს ჩემპიონის ქამრის მოპოვება განუზრახავს და ამ მიზნის მისაღწევად ერთი-ორი ბრძოლის გამართვასაც აპირებს.

ჯერ რონალდ რაიტი გამოიწვია, რომელიც ჩემპიონობის მაძიებელთა შორის ნომერი პირველი პრეტენდენტია, ამასთან, პირველ საშუალო წონაში ოდესღაც აბსოლუტური ჩემპიონიც იყო.

ამას გარდა, საშუალო წონაში ჩემპიონის გამოსავლენად კიდევ ერთი ბრძოლა იმართება. ჯერმენ ტეილორი ბერნარდ ჰოპკინსს უნდა ეჩხუბოს და სწორედ ამათ შორის გამარჯვებულთან აპირებდა რაიტი ქამრისთვის მუშტების ქნევას, ახლა კი სოლაიმანი სთავაზობს, ჯერ მე მეჩხუბე და ვინც უფრო ყოჩაღი აღმოჩნდება, ტეილორ-ჰოპკინსს შორის გამარჯვებულს ის შეხვდესო.

სოლაიმანის მენეჯერი სტიუარტ დანკანი აცხადებს, რაიტს თუ მოწინააღმდეგე უნდა, სემზე უკეთესს ვიღას ნახავს, ავსტრალიელმა ხომ ორწელიწადნახევარში 19 ბრძოლა ჩაატარა და ცხრამეტივე მოიგო.

ჩვენ კი ერთიც დავამატოთ, ზემოთ ნახსენებ ბრძოლებში სოლაიმანმა არაერთი რეიტინგული პრეტენდენტი დაამარცხა, მათ შორის სამი ისეთიც იყო, წაგება კარიერაში პირველად რომ იგემეს.

**ლადო ფულუკიძე**



AFP შანხაიდან

# ნახვამდის, დროებით

შანხაიმ თავს აჯობა და ასე დახურა მსოფლიოს საფორმულე სეზონი. დროშიანი სტუდენტებით, მრბოლთოჯინებით, თვით ჯეკი ჩანით და, რა თქმა უნდა, ჩინეთის დიდი პრიზით.





AFP შანხაიდან




AFP შანხაიდან

# უსინათლოთა მატჩი

**საფრანგეთის ქალაქ ტულუზაში ბრაზილიის უსინათლოთა საფეხბურთო ნაკრები ჩასულა და საფრანგეთის ნაკრებთან ამხანაგური თამაში გაუმართავს. თამაში, ცხადია, საქველმოქმედო იყო.**






# მს არის

სწორედ ეს არის ამერიკული ფეხბურთის პოეზია: მოთამაშეს, რომელსაც ბურთი უჭირავს, ფართო მიმღები ჰქვია. როგორც კი მოედნის სიღრმიდან ნიშანს მიიღებს, ის მეტოქის ხაზისკენ მიჰქრის და თან კი უკან იცქირება, რათა მქროლავი ბურთი ზუსტად ხელებში ჩაუვარდეს. მას კი ამ დროს ჩაუქი მცველი შეასკდება, თუ ვერა და, ლელოც გასულა და ესაა. თამაშობენ „დალასი“ და „ნიუ იორკი“. ბურთით დალასელი კეშვან ჯონსონი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნაროუშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლალი ხოძიჩიკი, ვაჟა ზუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზეიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge